პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტურ პარტიის
ცენტრალური დ თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.

ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 75 კ. დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ნარაღდანს" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხად. მიიღება 3 ს.

ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელეფონი 13—80.

შაბათი, 18 ივლისი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 163 (1318)

დღიური

— საბჭოთა საჰაერო ექსპედიციას მიეცა იაპონიაში გადაფრენის უფლება.
— კორეიაში დიდი წყალდიდობაა, დაიღუპა 3000 მეტი კაცი.
— პოლონეთში მონარქიული პროპაგანდა ძლიერდება.
— აბდ-ელ-ქერიმმა სასტიკად დაამარცხა ფრანგები.
— ახლო ხანში პოლონეთში დაიწყება ამხ. ბაგინსკის და ვეჩორკევიჩის მკვლელის გასამართლება.
— ინგლისში გაფიცვა გამოაცხადა 20 მაღაროს მუშებმა.

პროფმოძრაობის მთლიანობისათვის

დღეს სრულდება ხუთი წელიწადი მას შემდეგ, რაც საფუძველი ჩაეყარა რევოლიუციონურ პროფკავშირთა საერთაშორისო გაერთიანებას, წითელ პროფინტერნს. ამ ხნის განმავლობაში პროფინტერნი საერთაშორისო პროლეტარიატის ერთერთ უძლიერეს ორგანიზაციად იქცა. მის ხერხემალს შეადგენს საბჭოთა კავშირის პროფორგანიზაციებში დარაზმული ექვსი მილიონიანი მუშების არმია. მას ეკედლებიან შეკავშირებულ მუშების მეტად საგრძნობი უმცირესობანი, ზოგან მათი შემადგენლობის არა ნაკლებ ნახევრისა ევროპის ქვეყნებში.

კერძოდ ხაზგასასმელია პროფინტერნის უდიდესი გავლენა კოლონიალურ დ ნახევრად კოლონიალურ აღმოსავლეთის მუშათა კლასზე, რომელიც ბევრგან მთლიანად მის მხარეზეა. სხვათა შორის ამითაც ძირეულად განირჩევა პროფინტერნი ამსტერდამის გაერთიანებისაგან, რომლის „მოღვაწეობა" „მაღალი" მასსების საზღვრებს არ სცილდება. ერთი უკანასკნელი მაგალითი. გასულ თვეში კომინტერნმა და პროფინტერნმა მიმართეს ამსტერდამის ინტერნაციონალს (აგრეთვე მეორე ინტერნაციონალს) წინადადებით საერთოდ მოეწყოთ მიტინგები და ფულის შეგროვება გაფიცულ ჩინელ მუშების და მოკლულ და დაჭრილ ჩინელების ოჯახთა სასარგებლოდ. გარდა ამისა წინადადებას იძლეოდენ მოეწვიათ საერთაშორისო თათბირი ჩინეთის ხალხისათვის დახმარების სხვა ფორმების საკითხის განსახილველად. შემდეგ ასეთივე მოწოდებით მიმართა ამსტერდამს მუშების საერთაშორისო დახმარების საზოგადოებამ. ამას წინედ გაიმართა ამსტერდამის გაერთიანების ბიუროს სხდომა, რომელზედაც დასმული იყო ჩინეთის საკითხიც. ბიურომ დეპეშა გაუგზავნა შანხაის პროფკავშირებს ცნობებისათვის მისთვის, თუ რას მოითხოვენ მუშები. ამასთან ბიურომ აუწყა ხსენებულ საზოგადოებას, რომ დახმარების აღმოჩენამდე საჭიროა იმის გამორკვევა, სასურველია თუ არა ჩინეთის პროფკავშირებისათვის ასეთი დახმარება. პასუხიც ასეთი უნდა! ამსტერდამს თურმე არ სცოდნია ესაჭიროებათ თუ არა ჩინეთის მშრომელთ დახმარება და რაში უნდა გამოიხატოს იგი! ცხადია, ესაა საქმის კანცელიარული გაჭიანურება, მისი მიფუჩეჩება, ესაა ღალატი ჩინეთის და მთელი მსოფლიოს მუშათა კლასისადმი და იმპერიალიზმის მტაცებლობისათვის ხელის შეწყობა.

ამსტერდამის ასეთი პოზიცია, დანაშაულებრივი უმოქმედობა აიხსნება იმით, რომ მას ეშინია აღმოსავლეთში რევოლიუციონურ მოძრაობის გაძლიერების, რომელიც საფრთხეს უმზადებს კაპიტალისტურ წყობილებას, ხოლო ყვითელ პროფკავშირების ზედა ფენებმა, ისე როგორც მეორე ინტერნაციონალის პარტიებმა, თავი სი ბედი საბოლოოდ დაუკავშირეს ბურჟუაზიას.

განზე სტოვებს რა დაჩაგრულ აღმოსავლეთის პროფმოძრაობას და საერთოდ მის განმანთავისუფლებელ ბრძოლას, ამსტერდამის გაერთიანება სცდილობს მოადუნოს თვით ევროპის მუშათა კლასის რევოლიუციონური ნებისყოფა. ხანდახან თუ იგი გამოდის პროფკავშირების და მუშათა კლასის „დასაცავად" ბურჟუაზიის გაათრებული იერიშებისაგან, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ შეინარჩუნოს თავისი გავლენა პროლეტარიატზე და უფრო ადვილად შეასრულოს კაპიტალის აგენტის როლი.

სამაგიეროდ ამსტერდამის მთელი მუშაობა მიმართულია კომუნიზმის წინააღმდეგ, ვინაიდან ის გრძნობს, რომ კომუნიზმი სწორედ ის ძალაა, რომელიც სამარეს უთხრის ბურჟუაზიულ წყობილებას, ხოლო მასთან ერთად ამსტერდამის „მოღვაწეებს" და „სოციალისტური" ინტერნაციონალის „გმირებს". ამაშია „საიდუმლოება" იმ გაათრებული ბრძოლისა, რომელსაც ამსტერდამი აწარმოებს საბჭოთა პროფკავშირების და პროფმოძრაობის მთლიანობის წინააღმდეგ.

მაგრამ ევროპის მუშათა კლასის მდგომარეობა ისეთია დღეს, რომ იგი თანდათან იძულებული ხდება ეძიოს ხსნა ამსტერდამის და მეორე ინტერნაციონალის გარეშე. გაათრებული რეაქცია, კაპიტალის ფართე ფრონტით შეტევა პროლეტარიატზე დაჟინებით უკარნახებს უკანასკნელს გაერთიანოს თავისი რიგები რევოლიუციონური ბრძოლისათვის მოსამზადებლად.

მსოფლიო პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენის იდეა სულ უფრო მეტ მომხრეებს ჰპოულობს. ამსტერდამის ინტერნაციონალში ძლიერდება მემარცხენე მიმდინარეობა, რომელიც პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამს ამ მხრივ. ყველამ ვიცით კერძოდ ინგლისის პროფკავშირების პოზიცია, რომელსაც უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს ამ საქმის წარმატებისათვის.

დღეს, პროფინტერნის ხუთი წლის თავზე, პროფინტერნის აღმასკომი კვლავ მოუწოდებს ამსტერდამის გაერთიანებას და მთელ მსოფლიო მუშათა კლასს პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენისაკენ. ადრე თუ გვიან, მაგრამ უდავოა, რომ ეს მთლიანობა განხორციელებული იქნება, თუნდაც ამისათვის ევროპის მუშათა კლასს მოუხდეს გადაბიჯება თავის ყვითელ მეთაურების გვამებზე. სხვა გამოსავალი საერთაშორისო პროლეტარიატისათვის არ არსებობს.

სესხი მეურნეობის აღსადგენად

მრეწველობის და საერთოდ სახალხო მეურნეობის აღდგენა-განვითარებისათვის არსებობს სამი გზა: პირველი არის უცხოეთის სესხი, მაგრამ როცა უცხოეთის დიდი და გავლენიანი სახელმწიფოები ფინანსიური ბლოკადას აწარმოებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, შეუძლებელი ხდება უცხოეთის სესხზე დაყრდნობა.

მეორე გზაა შინაგანი დაგროვება. ეს გზა მეტად ხანგრძლივი და იმავე დროს სახიფათო გზაცაა. საქმე იმაშია, რომ შინაგანი დაგროვების საფუძველია მოგება. მიმდინარე ეკონომიურ პირობებში კი მოგება დაბალია, ხოლო მისი დონის აწევა მაშინ, როცა მთავრობა აწარმოებს საქონლის ფასების დაწევის პოლიტიკას, შეუწყნარებელი და მიუღებელია. ცხადია, რომ შინაგანი დაგროვებით გზით ჩვენი მრეწველობა ვერ მიიღებს მისთვის საჭირო თანხებს.

მესამე გზაა შინაური საბანკო კრედიტი.

მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ საბანკო კრედიტი დღევანდელ ეკონომიურ პირობებში მოკლევადიანია. ის მრეწველობას და საერთოდ სახალხო მეურნეობას აძლევს საშუალებებს საბრუნავი კაპიტალისათვის.

დღემდე მრეწველობა ვითარდებოდა ძველი დროიდან დარჩენილ მოწყობილობის და შენობათა ფარგლებში. ახლა კი დადგა ისეთი პერიოდი, როცა ძველი მოწყობილობა და შენობები არაა საკმარისი: როგორც ვიცით, მიმდინარე პერიოდში მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი მეტ სამრეწველო საქონელს მოითხოვს, ვიდრე მას იძლევა მრეწველობა.

იბადება საკითხი მრეწველობის პროდუქციის გადიდების შესახებ. პროდუქციის ზრდა კი შეუძლებელი ხდება, თუ კაპიტალურად არ იქნა შეკეთებული მრეწველობის მოწყობილობა და არ იქნა აგებული ახალი ფაბრიკა-ქარხნები, ე. ი. თუ მრეწველობის ძირითადი კაპიტალი არ იქნა გადიდებული. ამ მიზნისთვის მოკლევადიანი კრედიტი არ გამოდგება. საჭიროა მოწყობა გრძელვადიანი კრედიტისა. მაგრამ იმ პირობებში, რომელშიაც საბჭოთა კავშირი იმყოფება,—ერთად ერთი გზაა საშინაო სახელმწიფო სესხის მოწყობა. საკავშირო ფინანსთა სახალხო კომისარიატი სწორედ ამ გზას დაადგა და შეიმუშავა პროექტი 300 მილ. მან. საშინაო სესხის გამოშვების შესახებ.

საშინაო სესხის მოწყობას საბჭოთა კავშირში თავისი ისტორია აქვს. მაგრამ ეს „მეურნეობის აღსადგენი" სესხი როგორც თავისი ფორმით, ისე სიდიდით განსხვავდება ყველა წინა სესხიდან. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნებაყოფლობითი და იმავე დროს გრძელვადიანი სესხია.

ამ სესხის პირობები საკავშირო ფინსახკომის ამხ. სოკოლნიკოვის განმარტებით შემდეგია: სესხი გამოშვებული იქნება 300 მილ. მან. წლიურად 10 პროც. მისი დაფარვა დაიწყება 1925—26 წ. 1925—26 წ. ბიუჯეტში სესხის და მისი პროცენტების დასაფარავად შეტანილი იქნება 68 მილ მ. საბოლოოდ სესხი დაფარული იქნება 1930 წლის თებერვლისთვის. სახელმწიფო ხაზინა ანაწილებს სესხის ობლიგაციებს სამეურნეო ორგანიზაციებს შორის შრომის და თავდაცვის საბჭოს მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით. სამეურნეო ორგანიზაციები ამ ობლიგაციებს დააგირავებენ ბანკებში და მიიღებენ თანხებს. სახელმწიფოს ბიუჯეტსა და სამეურნეო ორგანიზაციათა შორის ანგარიშის გასწორება დაიწყება 3 წლის შემდეგ. ამ რიგად სამეურნეო ორგანიზაციებს საშუალება ეძლევათ სამი წლის განმავლობაში ისარგებლონ სესხით და მხოლოდ 3 წლის შემდეგ გადაუხადონ სახელმწიფო ხაზინას ობლიგაციების საფასური. ასეთია სესხის პირობა.

თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ეს სესხი გრძელვადით ეძლევა სამეურნეო ორგანიზაციებს და იმავე დროს ფორმა სესხის განაღდებისა ასეთია, რომ პირველ ხანებში სესხი პირდაპირ საფონდო ბირჟის ტრიალში არ გამოდის, არამედ ბანკებში ხურდავდება, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სესხი დააჩქარებს მეურნეობის განვითარების ტემპს და გამართლებულიც იქნება.

საჭიროა ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციები მომზადებული შეხვდნენ ამ სესხს და თავიანთ საწარმოვო გეგმის შემუშავების და ცხოვრებაში გატარების დროს მხედველობიდან არ გაუშვან „მეურნეობის აღსადგენი" სესხის შინაარსი, ხასიათი და მიზანი.

ა. ხ—უა.

ანტი-საბჭ. კამპანია ყალბი დოკუმენტების საშუალებით

ამხ. ჩიჩერინის განცხადება

ამხ. ჩიჩერინი ბურჟუაზიული დიპლომატიის „ახალი" მეთოდების შესახებ

„ყალბი დოკუმენტებით სარგებლობა ბურჟუაზიულ პოლიტიკოსების ჩვეულებათ გადაიქცა"

„ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრულ ურთიერთობას ვერაფერი ვერ შეარყევს"

შვეციის მუშათა დელეგაცია უკვე გამოემგზავრა საბჭოთა კავშირში

საუბარი ამხ. ჩიჩერინთან

მოსკოვი, 17 ივლისი. „როსტას" თანამშრომელთან საუბრის დროს ჩიჩერინმა განაცხადა:

„რამდენიმე დღის წინად, როდესაც ჩვენს მთავრობას გაბოროტებით თავს ესხმოდენ უცხოეთის პრესის გაბატონებული ნაწილი და ზოგიერთი მთავრობების წევრნი, მე გამოვედი განცხადებით, რათა სავსებით გამეშუქებია საბჭოთა კავშირის პოლიტიკა და გამებათილებია ჩვენდამი მტრულად განწყობილ ელემენტების ყალბი განცხადებანი.

მიზნათ დავისახე რა ჩვენი პოლიტიკის ნამდვილი შინაარსის გამორკვევა, მე ყურადღება არ მოვაქციე დღევანდელი მომენტის ერთ-ერთ ტიპიურ მოვლენას, რომელიც ახასიათებს ჩვენ მოწინააღმდეგე ბანაკს. მე ვლაპარაკობ ყალბ დოკუმენტების დამზადებაზე, რომელიც ხელობად გადაიქცა. ეს არის შემადგენელი ნაწილი იმ ცილის წამებისა და სიცრუის კამპანიის რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და რომელიც განსაკუთრებით გაცხოველდა აშკამად. ამ კამპანიის მონაწილენი რომელნიც უხვად სარგებლობენ ყალბი დოკუმენტებით, მშვენივრად იცნობენ ამ ყალბი დოკუმენტების სახელოსნოებს, რომელთა ერთი ნაწილი აღმოჩენილი იყო უკანასკნელ ხანებში.

შემდეგ ჩიჩერინი ეხება თეთრგვარდიელ დრუჟელოვსკის, „დოკუმენტების" მეორე პროფესიონალურ მკეთებელს ბერლინში ოგომანსკის, ზინოვიევის ცნობილ წერილს და აღნიშნავს, რომ [illegible] გაუგზავნა ინგლისის ყოფილ პრემიერს მაკდონალდს ყალბი დოკუმენტების ასლების მთელი კოლექცია.

შემდეგ ჩიჩერინი ეხება ყალბ დოკუმენტების სახელოსნოს „რომელიც იაკუბოვიჩმა მოაწყო ვენაში და აღნიშნავს: „თუ ასეთი სახელოსნოების რიცხვი მრავლდება და ისინი მუშაობენ უზარალოთ, ეს იმიტომ ხდება, რომ დიდი მოთხოვნილებაა ყალბ დოკუმენტებზე. არ შემიძლია არ აღვნიშნო ფაქტი, რომ ბერლინში დაპატიმრებული დრუჟელოვსკი, რომელსაც აღმოაჩნდა ყალბი დოკუმენტების მთელი კოლექცია და აგრეთვე ყალბი ბეჭდები და ბლანკები და რომელმაც აშკარად აღიარა, რომ ამზადებდა ყალბ დოკუმენტებს ბულგარეთის და პოლონეთის მთავრობისათვის,—ცოტა ხნის შემდეგ განთავისუფლებული იქნა გერმანიის პოლიციის მიერ თუმცა ექსპერტიზამ დაამტკიცა დრუჟელოვსკის ხელისმოწერა ყალბ დოკუმენტებზე. ამ დღეებში ის ისევ დააპატიმრეს მაშინ, როდესაც იაკუბოვიჩი ვენაში განთავისუფლებულია და გამართლებული.

შემდეგ ჩიჩერინი აღნიშნავს ყალბ დოკუმენტს, რომელიც ვითომდა აღმოაჩნდა ჩინეთში დაპატიმრებულ დოსიერს და ამბობს: „ჩვენ ხელთ არის დიძალი ამგვარი ყალბ დოკუმენტები", და ასახელებს 20 ასეთ დოკუმენტს.

„ჩამოთვლილი ყალბი დოკუმენტები —ამბობს ჩიჩერინი—სავსეა უხეში პოლიტიკური უვიცობის ნიშნებით; ამ დოკუმენტებს აწერენ არ არსებულ დაწესებულებებს, უგზავნიან არ არსებულ პირებს და სხვა.—არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ასეთ უხეშ სიყალბის ჩადენა ძალიან ადვილი საქმეა. და საკვირველი არ არის, რომ ამ ყალბი დოკუმენტების ფასიც დაბალი იყო. სულ 150 ამერიკული დოლარი თითო დოკუმენტში, კომისიონერი კი იღებდა 100 მარკას.

ბოლოს ჩიჩერინი ამბობს: „საჭიროა საზოგადოებრივ აზრს და სხვა ქვეყნების ფართო მასებს ვაცნობოთ, რომ ჩვენი მტრების მიერ გამოქვეყნებელი დოკუმენტები და საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდება არის ყოველთვის ფალსიფიკაციის შედეგი და რომ ამ მიზნისათვის არსებობენ სპეციალური სახელოსნოები.

ჩვენ წინააღმდეგ შეთხზული ყალბი დოკუმენტები საბაზრო საქონლად გადაიქცა და მთავრობებთან დაკავშირებული ორგანოები უმეტეს შემთხვევაში სრულიად შეგნებულად სარგებლობენ ამგვარ სიყალბით და ფულსაც აძლევენ მას'ში.

დღევანდელ მომენტში, როდესაც ჩვენდამი მტრულად განწყობილმა ელემენტებმა სხვადასხვა სახელმწიფოებში ხმა აღიმაღლეს და მოითხოვენ ჯვაროსნულ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ,—სრული საფუძველი გვაქვს მოველოდეთ, რომ ეს ელემენტები გამოაქვეყნებენ ახალ სენსაციურ დოკუმენტებს, რომლის მიზანია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის დასაბუთება.

საერთაშორისო კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოწესრიგების მომხრეებმა უნდა იცოდენ, რომ ამგვარი დოკუმენტები, რომელნიც ხელს უწყობენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნას, მზადდებიან სპეციალურ სახელოსნოებში და მათ თხზავენ პროფესიონალი ავტორები. ასეთი გაფრთხილება საჭიროა".

უცხოეთის პრესის ჭორების გაბათილება

სტამბოლი, 16 ივლისი. ოსმალეთის გაზეთები უარჰყოფენ უცხოეთის პრესის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებს ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის დამოკიდებულების გაუარესების შესახებ და აღნიშნავენ, რომ პირიქით, როდესაც გარეშე საქმეთა კომისრად დაინიშნა ტევფიკ-ფაშა, დამოკიდებულება ოსმალეთსა და საბჭოთა კავშირს შორის განსაკუთრებულად გულწრფელი შეიქნა.

შემდეგ გაზეთები ხაზს უსვამენ იმას რომ ოსმალეთის ელჩი მოსკოვში მიიღეს ისე, როგორც მეგობრული სახელმწიფოს წარმომადგენელი.

ოსმალეთის პოლიტიკურ წრეებში, აგრეთვე, გამოსთქვამენ რწმენას, რომ ორივე ქვეყანა ურთიერთ ინტერესების სასარგებლოდ დაამყარებენ მჭიდრო პოლიტიკურ და ეკონომიურ თანამშრომლობას.

რაკოვსკის და ჩემბერლენის შეხვედრის შემდეგ

ლონდონი, 16 ივლისი. გაზეთების უმრავლესობა უკომენტარიოდ ათავსებს რაკოვსკის განცხადებას ჩემბერლენთან შეხვედრის შესახებ.

„დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური კორესპონდენტი აცხადებს, რომ რაკოვსკის შეხვედრას ჩემბერლენთან არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

„მდგომარეობა ლონდონსა და მოსკოვს შორის—ამბობს კორესპონდენტი—რჩება იგივე, როგორიც იყო კონსერვატორების ხელში ძალა-უფლების გადასვლის დროს.

ლონდონი, 16 ივლისი. გაზეთებიდან მხოლოდ ერთი „დეილი ნიუზ"-ი მეთაურ წერილში ეხება ჩემბერლენთან შეხვედრის შემდეგ რაკოვსკის მიერ გაკეთებულ განცხადებას. გაზეთი აცხადებს, რომ რაკოვსკის არგუმენტები სავსეა წინააღმდეგობებით და აბრკოლებენ გამოსვლას შექმნილ მდგომარეობიდან.

ურთიერთობა ინგლისსა და და საბჭოთა კავშირს შორის, გაზეთის აზრით, ხელსაყრელია ორივე მხარისათვის, მაგრამ ამ „მატერიალურ" სარგებლიანობას საფრთხეში აგდებს პოლიტიკური გართულება. მთავარ სიძნელეს გაზეთი ხედავს საბჭოთა მთავრობის მიერ ცნობიდან გამომდინარე ფორმალობის შეუსრულებლობაში და ამიტომ დაასკვნის: „ვიდრე ბოლშევიზმი იჩენს ყველგან უპატივცემულობას საერთაშორისო მოთხოვნილებებისა და ვალდებულებებისადმი, მანამდის ეკონომიური კანონები არ იძლევიან შესაძლებლობას მიეცეს საბჭოთა მთავრობას სულ მოკლევადიანი სესხიც კი".

შვეციის მუშათა დელეგაცია

მოსკოვი, 17 ივლისი. საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს ცნობით, შვეციის მუშების დელეგაცია 300 კაცის შემადგენლობით ჩამოვა ამ დღეებში საბჭოთა კავშირში. მუშები დარჩებიან ლენინგრადში 3 დღე, შემდეგ ჩამოვლენ მოსკოვში.

შვეციის მუშები მოდიან საბჭოთა კავშირში თავის ინიციატივით, რათა გაიცნონ მუშების ყოფა-ცხოვრება. შვეციაში დაბრუნებისას ისინი გაუზიარებენ ამხანაგებს თავიანთ შთაბეჭდილებას.

სტოკჰოლმი, 16 ივლისი. გუშინ საბჭოთა კავშირში გაემგზავრა გაზეთ „პოლიტიკენის" მიერ მოწყობილი მუშათა ექსკურსიის პირველი პარტია (150 კაცი), დღეს კი მეორე ჯგუფი 150 კაცისაგან შემდგარი.

ექსკურსიას მოჰყვება „პოლიტიკენის" რედაქტორი ჩილმუმი და ნორვეგიის კომუნისტურ გაზეთის „კომუნისტ ბლად"-ის რედაქტორი შეფლე.

გემის გასვლის წინ ნაპირზე თავი მოიყარა 30 ათასმა მუშამ. მუშები მღეროდენ „ინტერნაციონალ'ს". გაისმოდა ხმები: „გაუმარჯოს საბჭოთა კავშირს, გაუმარჯოს კომინტერნს და მთელი მსოფლიოს მუშათა ერთიან ფრონტს".

ლატვიის დელეგაცია მოსკოვში

რიგა, 16 ივლისი. საბჭოთა კავშირთან ეკონომიურ ურთიერთობათა განვითარების და გაფართოების მიზნით ლატვიის მთავრობამ დაადგინა გაგზავნოს მოსკოვში ექსპერტთა დელეგაცია. დელეგაციაში შევლენ ფინანსთა და გარეშე საქმეთა სამინისტროების და აგრეთვე სამრეწველო, სავაჭრო და სასოფლო მეურნეობის წარმომადგენლები.

დელეგაციის მიზანია ინფორმაციის შეგროვება, შესაძლებელია რუსეთ-ლატვიის საექსპორტ-იმპორტო შერეული საზოგადოების დაარსების შესახებ.

დელეგაცია გაემგზავრება მოსკოვში ივლისის ბოლოში, ან აგვისტოს დასაწყისში

საბჭოთა კავშირის და ავსტრიის ეკონომიური ურთიერთობა

ვენა, 16 ივლ. სავაჭრო წარმომადგენელმა ვენაში ვულფსონმა „როსტას" კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ უცხო სახელმწიფოების ცდა, რომ ავსტრიას მონაწილეობა მიეღო საბჭოთა კავშირის ფინანსიურ ბლოკადაში უშედეგოთ დამთავრდა. როგორც ექსპორტი, ისე იმპორტი საბჭოთა კავშირსა და ავსტრიას შორის განუწყვეტლივ იზრდება. სწორედ უკანასკნელ დღეებში დადებულია ხელშეკრულებები, ამასთანავე ავსტრიის მრეწველები გვაძლევენ ჩვენ კრედიტს 9—12 თვის ვადით.

ვენის დიდი ბანკები აძლევენ საბჭოთა კავშირს სხვადასხვა კრედიტებს.

ამავე დროს იზრდება ექსპორტი საბჭოთა კავშირიდან ავსტრიაში.

გერმანელ ფაშისტ-სტუდენტების გასამართლების შემდეგ

საკავშირო დეპ. სააგენტოს პასუხი არ მოეწონათ

ბერლინი, 16 ივლისი. მთელი ბერლინის პრესა, მცირეოდენის გამოკლებით, აღელვებული ტონით იხილავს როსტას პასუხს იმ ოფიციალურ კრიტიკაზე, რომელიც ვოლფის სააგენტომ გამოაქვეყნა ფაშისტ-სტუდენტების საქმის გამო.

„ბერლინერ ტაგებლატ"-ი აფრთხილებს საბჭოთა მთავრობას, „ნუ განაგრძობს გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის „გამოცდას".

სოციალ-დემოკრატიული „ფორვერტსი", წერილში სათაურით „მოსკოვის უსირცხვილობა", ურჩევს გერმანიის მთავრობას „არ მოიხაროს ქედი მოსკოვის გამოწვევის წინაშე". „მოსკოვის მთავრობა—სწერს გაზეთი—მიუხედავათ გერმანიის მთავრობის არაჩვეულებრივი თავდაჭერილობისა, პასუხს იძლევა ნიკოლოზ 1-ის დროის მინისტრების ტონით. მთელი ეს სკანდალი აცილებული იქნებოდა, რომ გერმანიის მთავრობას თავიდანვე გამოეჩინა უფრო მეტი სიმტკიცე".

შტრეზემანის ორგანო „ტეგლიხე რუნდშაუ", წერილში სათაურით—„მოსკოვი ჭკუას ასწავლის ვოლფის სააგენტოს",—სწერს, რომ თუმცა გარეგნულად როსტას პასუხი არ სცილდება ზრდილობის ფარგლებს, მაგრამ პასუხის შინაარსი იმდენად აგრესიულია, რომ მსგავსი კამათი მეტისმეტად მავნებელია.

უცხოეთის პრესა

ამხ. ედო. ფიმმენი ჩინეთის ამბების შესახებ

„თეთრი და ყვითელკანიანების შეერთება წითლათ შეღებს მსოფლიოს"-ო სწერს „როტე ფანე"-ში (3 ივლისი) ამხ. ფიმმენი „ჩინეთის გამოღვიძების" (ასეთია წერილის სათაური) გამო.

ავტორი ვრცლად ეხება ჩინეთის მშრომელი ხალხის მდგომარეობას და საერთაშორისო კაპიტალის „მუშაობას", რომელმაც ეს ვეებერთელა ქვეყანა, თავისი თითქმის ოთხასი მილიონი მცხოვრებლებით, მიიყვანა ამ მდგომარეობამდე. ავტორი არჩევს შანხაიში და სხვა ქალაქებში მომხდარ ამბებს და იმ მოძრაობას, რომელიც გამოიწვია ამ ამბებმა სხვა ქვეყნებში.

„ევროპის მუშათა მოძრაობამ თანაგრძნობის რეზოლიუციების მიღებით აღნიშნა თავისი დამოკიდებულება ჩინელ მშრომელთა ბრძოლისადმი. მაგრამ რა მაქნისია ეს რეზოლიუციები, თუ მათ საქმე არ მოჰყვება?

სხვადასხვა ქვეყნების კაპიტალისტური კლასები თავს არ იტკივებენ, როდესაც მათ ქვეყნებში მათი შინაური „მუშაობის" წინააღმდეგ რეზოლიუციებს იღებენ. მით უფრო არ შეიწუხებენ ისინი თავს, როდესაც ეს რეზოლიუციები ეხება მათ „მოღვაწეობას" შორეულ ქვეყნებში. ისინი თავისას არ იშლიან, ზარბაზნებით დატვირთულ გემებს და ჯარს აგზავნიან და ეს რეზოლიუციები ხელს ვერ შეუშლიან მათ სისხლი დაღვარონ... საჭიროა რაღაც მეტი რამ, ვინემ რეზოლიუციები. საჭიროა პრაქტიკული სოლიდარობა ჩინელ მუშებთან. საჭიროა მოქმედება როგორც ჩინელი მუშათა კლასის ინტერესებისათვის ისე ყველა ქვეყნების მშრომელთა კარგათ გაგებულ ინტერესებისათვისაც. რადგან ჩინელი პროლეტარიატის ბრძოლა თავისი ეკონომიური და პოლიტიკური განთავისუფლებისათვის არის ერთი ნაწილი მსოფლიო ბრძოლისა, რომელსაც ყველა ქვეყნის პროლეტარიატი აწარმოებს თავისი განთავისუფლების მიზნით კაპიტალისტური რეჟიმისაგან. თუ ჩინეთის რევოლიუციამ გაიმარჯვა—ეს მიაყენებს სასიკვდილო ჭრილობას მსოფლიო იმპერიალიზმს და ამით ის დასუსტდება იმდენად, რომ დამონებული და გაყვლეფილი ხალხები სხვა კოლონიებისაც: ბრიტანეთის ინდოეთში, ჰოლანდიის ინდოეთში, ეგვიპტეში, არაბეთში, სპარსეთში, მესოპოტამიაში, ავსტრალიაში, აფრიკაში, თავს წამოყოფენ საბრძოლველად და იმედიც ექნებათ გამარჯვებისა.

ჩინეთის პროლეტარიატის გამყვლეფელებს, რომლებიც იმავე დროს ჩვენი გამყვლეფელებიც არიან, კარგათ ესმით მჭიდრო კავშირი ამ ორ მოვლენათა შორის. ამიტომ ისინი ყოველ ღონეს მიმართავენ, რათა წინააღმდეგობის გაწევის უნარი მოუსპონ ჩინელ მუშათა კლასს, გაამუდმივონ და გაარღმავონ გათიშულობა, რომელიც არსებობს მათი ქვეყნისა და კოლონიალურ ხალხებს შორის, რადგან კარგად იციან, რომ ევროპისა და აზიის მუშათა შეკავშირება მოასწავებს მათი ბატონობის დასასრულს".

გადადის რა ამხ. ფიმმენი კონკრეტულ ამოცანებზე, რომლებიც დგანან ევროპის პროლეტარიატის წინაშე, ის უთითებს ასეთ ღონისძიებებზე:

„პირველ ყოვლისა ეს არის ამოცანა სატრანსპორტო მუშების, რკინისგზელების და მეზღვაურებისა, რომლებსაც თავისი მედგარი გამოსვლებით ხელი შეუშლიათ წინათაც ომის დაწყებისათვის—ახლაც გამოიჩინონ ეს სოლიდარობა და ხელი შეუშალონ საომარი მასალის გადაზიდვას, რომელიც განძრახული იქნება მებრძოლ ჩინელ ამხანაგების წინააღმდეგ".

„ჩინელი მუშები—ასე ათავებს ამხ. ფიმმენი—იბრძვიან ლოზუნგის ქვეშ „ხელი შორს ჩინეთისაგან", „ჩინეთი ჩინელებს". დეე ამოუდგენ თეთრი (ევროპისა და ამერიკის) მუშები ყოველ მიზეზს გარეშე შორეულ აღმოსავლეთში მებრძოლ მათ ძმებს გვერდში. დეე შეიგნონ ევროპისადა ამერიკის მუშებმა ის, რაც კარგა ხანია შეიგნეს მათმა მყვლეფელებმა: თეთრი და ყვითელ-კანიანების შეერთება წითლად შეღებს მსოფლიოს".

ჩინეთის ამბები

მარჯვენა ხელმა არ იცის რას აკეთებს მარცხენა

ლონდონი, 16 ივლისი. საფრანგეთის ელჩმა ლონდონში ფლერიომ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა სახელმწიფოების მიერ ექსტერიტორიალობის უფლებაზე ნაადრევად უარის თქმის საშიშროება.

ოფიციალურ წრეებში ამ განცხადების გამო დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამენ და ამბობენ: რომ საფრანგეთის ელჩი ჩინეთში შორეულ აღმოსავლეთში ინგლისის გავლენის შესუსტების ნაცვლად, ასეთივე მტკიცე პოლიტიკას გაატარებდეს, მაშინ პეკინის დიპლომატიური კორპუსის მდგომარეობა ჩინეთის მთავრობასთან დამოკიდებულებაში ჩინელების თვალში იქნებოდა უფრო საპატივსაცემო, ვიდრე ეხლა.

ინგლისის მთავრობის სხდომა

ლონდონი, 16 ივლისი. ინგლისის მთავრობამ განიხილა ჩინეთში შექმნილი მდგომარეობა.

მინისტრთა უმრავლესობის აზრით, ინგლისის წარმომადგენლებმა შანხაიში თვითვე უნდა გადასწყვიტონ, ადგილობრივმა სასამართლოებმა უნდა მოახდინონ თუ არა, შანხაის ამბების გამოკვლევა.

სხდომაზე აღინიშნა, რომ როგორც შეერთებულ შტატების უკანასკნელ განცხადებიდან სჩანს, ამერიკას არა აქვს განზრახული მოიწვიოს კონფერენცია ჩინეთში უცხოელთა ექსტერიტორიალობის საკითხის გამოსარკვევათ, ვიდრე ჩინეთში არ შეიქმნება მტკიცე მთავრობა.

ამერიკის მთავრობის განცხადება

ვაშინგტონი, 16 ივლისი. ამერიკის მთავრობამ პარიზში გადასცა ოფიციალური განცხადება ჩინეთში შექმნილ მდგომარეობის შესახებ.

როგორც იუწყებიან, ამ განცხადებაში ამერიკა იმეორებს წინადადებას—განხორციელებული იქნას ვაშინგტონის კონფერენციის დადგენილება საბაჟოების შესახებ ცხრა სახელმწიფოს ხელშეკრულების მიხედვით და აგრეთვე ექსტერიტორიალობის უფლების შესახებ ხუთი სახელმწიფოს გადაწყვეტილების მიხედვით.

3000 კაცის დაღუპვა

ტოკიო, 16 ივლისი. კორეიაში დიდი წყალდიდობაა. წყალმა დაფარა მრავალი სოფლები. ფიქრობენ, რომ დამღრჩვალთა რიცხვი 3000 აღემატება.

პერსელი—ინგლისის თემთა პალატის წევრი

როგორ გაიმარჯვა პერსელმა

ლონდონი, 16 ივლისი. დამატებითი საპარლამენტო არჩევნებზე ფორესტ ოფ-დინის ოლქში პერსელმა მიიღო 11,629 ხმა, კონსერვატორმა გომონმა—8.607, ხოლო ლიბერალ ვებმა—3.774.

პერსელის გამარჯვება მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მის წინააღმდეგ ყველა გაზეთები აწარმოებდენ სასტიკ კამპანიას, მისი სიმპატიების გამო საბჭოთა კავშირისადმი

პერსელის ერთიანობის პროგრამა

ლონდონი, 16 ივლისი. პერსელის არჩევას საერთოთ სთვლიან, როგორც ნიშანს სამთომადნო მუშების რიგების ერთიანობისას.

პერსელის საარჩევნო პროგრამის ერთ-ერთ მოთხოვნილებას წარმოადგენდა საბჭოთა მთავრობისათვის სესხის მიცემა უმთავრესად ინგლისის სამანქანო და გემების სამშენებლო მრეწველობისათვის შეკვეთების მისაცემათ, რაც შეანელებდა უმუშევრობას ინგლისში ამ მოთხოვნილებამ საარჩევნო კამპანიაში დიდი როლი ითამაშა.

ომი მაროკოში

აბდ-ელ-ქერიმის ბრწყინვალე გამარჯვება

[illegible]. 16 ივლისი. აბდ-ელ-ქერიმმა სასტიკად დაამარცხა საფრანგეთის ჯარები: ხელში ჩაიგდო გარეუბნები ქ. ქ. ბაზულისა და ტაზის. რიფებმა შესწყვიტეს კავშირი ფესსა და ალჟირს შორის. საფრანგეთიდან მაროკოში ახალი ჯარები გაიგზავნა.

ჩემბერლენი ტანჟერის საკითხის შესახებ.

ლონდონი. 16 ივლისი. თემთა პალატაში ტანჟერის საკითხის შესახებ ჩემბერლენმა სთქვა: „ინგლისის მთავრობამ საფრანგეთის და ესპანეთის მთავრობების წინადადების პასუხად განაცხადა, რომ ის ამჯობინებს არ მიიღოს მონაწილეობა ოპერაციებში ტერიტორიალურ წყლების ფარგლების გარედ. ინგლისის მთავრობამ გაილაშქრა ტანჟერში ჯარების გაგზავნის წინააღმდეგ იმიტომ, რომ ასეთ ნაბიჯს შეუძლია გამოიწვიოს ქალაქზე თავდასხმა რიფების მხრივ".

პოლონეთის სეიმში

ვარშავა, 16 ივლისი. სეიმში მომხდარ ობსტრუქციის გამო ტარაშკევიჩთან ერთად ოპოზიციის 9 დეპუტატი კიდევ გამორიცხეს სხდომებიდან. თვითეულ მათგანს ჯამაგირიდან უნდა დაეჭიროს ჯარიმის სახით 475 ოქ. მარკა.

ნიშნათ პროტესტისა უკრაინის და ბელორუსიის დეპუტატებმაც დასტოვეს სხდომის დარბაზი.

დეპუტატ ბალანს თავმჯდომარემ ნება არ მისცა წაეკითხა საპროტესტო განცხადება. ამის გამო ოპოზიციის ყველა ფრაქციებმა მიატოვეს სხდომის დარბაზი.

გერმანიაში

განაჩენი ჰელმუტ-გოლცის მკვლელების შესახებ.

ბერლინი, 16 ივლისი. „ვოლფის" სააგენტო იუწყება:

„დღეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ შვერინში გამოიტანა განაჩენი ჰელმუტ-გოლცის საქმის გამო. ჰელმუტ-გოლცი, ბერლინის მცხოვრები, 1923 წელს იყო როსბახის ფაშისტურ ორგანიზაციის წევრი, გამოვიდა ორგანიზაციიდან და ამის შემდეგ იპოვეს მკვდარი ვისმარის მახლობლად.

გოლცის მკვლელებს—ფაშისტებს მეურერს, ნოტცოვს და ყოფილ ლეიტენანტს კალლას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. ყოფილ უფროსს ლეიტენანტს შალლერს და მემამულე ლიტკეს მკვლელობის წაქეზებისათვის მისჯილი აქვთ სიკვდილით დასჯა, აგრონომ ვაგნერს მკვლელობის დამალვისათვის 2 წ. ციხე, ბრალდებულ ბისტროფს ცრუმოწმეობისთვის—1 წლის და 8 თვის ციხე.

გერმანიის კომპარტიის ყრილობა

ბერლინი, 16 ივლისი. გერმანიის კომპარტიის ყრილობაზე რუტ ფიშერმა, გაუკეთა რა ჯამი უკანასკნელ 8 წლის ამბებს, სთქვა, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიების თანამშრომლობამ ბურჟუაზიასთან დამარცხებამდე მიიყვანა გერმანიის პროლეტარიატი.

ორატორმა ხაზი გაუსვა იმას, რომ საგარანტიო ხელშეკრულება გააძლიერებს დოუესის გეგმის დამღუპველ შედეგებს. პროლეტარიატმა ფხიზლათ უნდა ადევნოს თვალყური მოლაპარაკებას საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ.

შემდეგ რუტ ფიშერი ეხება კაუცკის როლს, როგორც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყების და ინტერვენციის მოწყობის წამქეზებლისას, რასაც ადასტურებს მისი უკანასკნელი ბროშიურა. კაუცკის სამარცხვინო საქციელი ყრილობის დიდ აღშფოთებას იწვევს.

შემდეგ რუტ ფიშერი აღნიშნავს, რომ სოციალ-დემოკრატ მუშებთან ერთიანი ფრონტის შექმნა აუცილებელია სოციალ დემოკრატიის ყალბ ოპოზიციონერობის ცხადსაყოფათ. სოციალ-დემოკრატია—ამბობს რუტ ფიშერი—ისევე, როგორც ბურჟუაზია, სცდილობს გამოიყენოს კომპარტიის აშკარა თვითკრიტიკა. მაგრამ, მიუხედავათ შეცდომებისა, კომპარტიას არა აქვს განზრახული თავისი ძირითადი გეზის შეცვლა.

რუტ ფიშერის სიტყვას ყრილობა მრავალჯერ სწყვეტდა მქუხარე ტაშით. კენჭის ყრამდეც უკვე აშკარა გახდა, რომ ყრილობის უმრავლესობა სდგას ც. კ. მხარეზე.

პროფინტერნის არსებობის 5 წლის თავი

აღმასრულებელ ბიუროს მოწოდება

მოსკოვი. 17 ივლისი. პროფინტერნის აღმასრულებელმა ბიურომ პროფკავშირთა ინტერნაციონალის 5 წლის თავის გამო 18 ივლისს, მიმართა ყველა ქვეყნების მუშებს მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

„განვლო 5 წელმა მას შემდეგ, რაც დაარსდა რევოლიუციონურ პროფკავშირთა საერთაშორისო დროებითი საბჭო, რომლისაგანაც წარმოიშვა და განვითარდა პროფინტერნი. ამ 5 წლის განმავლობაში საერთაშორისო პროლეტარიატმა განიცადა ბევრგვარი დამარცხება ბრძოლის ფრონტზე, მაგრამ საერთაშორისო ბურჟუაზიის მიერ დასახული მთავარი ამოცანა—მუშათა მოძრაობის განადგურება და კაპიტალიზმის დაბრუნება ომის წინა დროის მდგომარეობაში—ეს ამოცანა ვერ იქნა მიღწეული. მიუხედავათ არახელსაყრელ პირობებისა, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის რევოლიუციონურმა ელემენტებმა, რომელნიც გაერთიანდენ კომინტერნსა და ფროფინტერნში, შესძლეს არა მარტო წინააღმდეგობის გაწევა, არამედ სხვადასხვა ადგილებში შეტევაზედაც კი გადავიდენ. ამ 5 წლის განმავლობაში შემუშავებული და ჩამოყალიბებული იქნა არა მარტო რეზოლიუციებში, არამედ კომუნიზმსა და რეფორმიზმს შორის ყოველდღიურ ბრძოლაში რევოლიუციონური პროფმოძრაობის თეორია და პრაქტიკა.

პროფინტერნის და ამსტერდამის ინტერნაციონალის პარალელურად არსებობის თვითეული წელიწადი აშკარავებდა რევოლიუციონურ და რეფორმისტულ პროფმოძრაობის შინაარსს. ამსტერდამის ინტერნაციონალი გადაიქცა რეაქციონურ და კონსერვატიულ ძალების შემკრებათ და საერთაშორისო ბურჟუაზიის და მისი იმპერიალისტური პოლიტიკის საყრდენად, **ხოლო პროფინტერნი— ყველა რევოლიუციონურ და მოწინავე ძალების ცენტრად მსოფლიო პროფმოძრაობაში და სოციალურ რევოლიუციის იარაღად.**

პროფინტერნმა დაიწყო მოქმედება დროებითი ცენტრის სახით, რომელიც აერთიანებდა რამდენიმე ქვეყნის რევოლიუციონურ ელემენტებს, ეხლა კი პროფინტერნს ემხრობიან საბჭოთა კავშირის, ჩინეთის, იავის, საბერძნეთის, ჩილის, სპარსეთის, ეგვიპტეს, ბულგარეთის, ესტონეთის და ფინეთის პროფესიონალური მოძრაობა. პროფინტერნს ემხრობა აგრეთვე საფრანგეთის, ჩეხო-სლოვაკიის, რუმინეთის, სამხრეთ-სლავიის, იაპონიის, არგენტინის და ავსტრალიის დარაზმულ მუშების ნახევარზე მეტად და ფრიად სერიოზული უმცირესობა გერმანიაში, ინგლისში, იტალიაში, ამერიკაში, პოლონეთში, შვეციაში, ნორვეგიაში, ესპანეთში და სხვა ქვეყნებში. განსაკუთრებით დიდია პროფინტერნის გავლენა ყველა კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში, რასაც ამტკიცებს ჩინეთის უკანასკნელ ამბები, მაშინ როდესაც **ამსტერდამის ინტერნაციონალი არასოდეს არ გასცილებია ევროპის ფარგლებს. პროფინტერნის გავლენა ვრცელდება დედა-მიწის ყველაზე მივარდნილ კუთხეებში.** პროფინტერნს აქვს სერიოზული დასაყრდენობი პუნქტები ინდოეთში, ფილიპინის კუნძულებზე, სამხრეთ აფრიკაში, მექსიკაში, კანადაში, კუბაში, გავაის კუნძულებზე, ბრაზილიაში და სხვა ქვეყნებში. ეს განსხვავება აიხსნება მით, რომ **ამსტერდამის ინტერნაციონალი წარმოადგენს ერთ ნაწილს იმპერიალისტურ მექანიზმისას და მუშების სახელით ამართლებს კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების მუშათა ყვლეფას.** ხოლო პროფინტერნი არის სოციალურ რევოლიუციის იარაღი და იბრძვის ჩაგრულ ხალხთა დამოუკიდებლობისათვის.

მიუხედავათ იმისა, რომ ღრმა პრინციპიალური უფსკრული აშორებს პროფინტერნის ხელმძღვანელ ელემენტებს ამსტერდამის ინტერნაციონალის ხელმძღვანელ ელემენტებისაგან, **პროფკავშირთა წითელი ინტერნაციონალი კაპიტალის შემოტევის მოგერიების და მუშათა კლასის რიგების განმტკიცების** მიზნით იცავს ერთიან ფრონტს, პროფმოძრაობისას. რათა შეიქმნას ნამდვილი მთლიანობის მაქსიმალური გარანტიები, **პროფინტერნი წინადადებას იძლევა პროპორციონალურ წარმომადგენლობის საფუძველზე მოწვეული იქნას ერთვნული გამაერთიანებელი ყრილობები, ხოლო შემდეგ იმავე საფუძველზე მთლიანობის საერთაშორისო კონგრესი.** ჩვენს წინადადებას ვიძლევით მუშათა მილიონების წინაშე, ვიძლევით წინადადებას მოეწყოს პარიტეტული ორგანოები განზრახულ ყრილობებზე კანტროლის დასაწესებლად და წინდაწინ ვაცხადებთ, რომ დავემორჩილებით უმრავლესობის გადაწყვეტილებას. რეფორმისტები კი ყოველ გზა-ჯვარედინზე გაიძახიან, რომ სწორედ ამაში მდგომარეობს მოსკოვის ხრიკები და უარს ამბობს ყრილობების და კონგრესების მოწვევაზე. **ამსტერდამის ინტერნაციონალის ხელმძღვანელები რომ მართლაც ფიქრობდენ მუშათა კლასის ინტერესებზე, ისინი მიიღებდენ ჩვენს წინადადებას,** ვინაიდან იგი იძლევა საშუალებას შეიქმნას პროფკავშირთა გაერთიანებული მებრძოლი ინტერნაციონალი.

ბევრი რამ გააკეთა საერთაშორისო რევოლიუციონურმა პროფმოძრაობამ გასულ 5 წლის განმავლობაში, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ჩვენს წინაშეა დიდი სამუშაო ათეულ მილიონიან პროლეტარიატის გასაერთიანებლად, და სოციალურ რევოლიუციის არმიის შესაქმნელად.

შეუდექით მუშაობას, ამხანაგების მთელი ძალღონე მოახმარეთ რევოლიუციონურ პროფმოძრაობის განმტკიცებას, პროფმოძრაობის მთლიანობისათვის ბრძოლას, სოციალურ რევოლიუციის მზადებას“.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ავსტრალია

გაფიცვა.

ლონდონი, 16 ივლისი. ავსტრალიის მეზღვაურთა გაფიცვა გამოიწვია სასამართლოს დადგენილებამ, რომლის ძალით მეზღვაურთა კავშირი უნდა ამოშლილიყო რეგისტრაციაში გატარებულ ორგანიზაციებ ს სიიდან.

ინგლისი

სამთო-მადნო მუშების დასახმარებლათ.

ლონდონი, 16 ივლისი. მუშათა პარტიის საპარლამენტო ფრაქციამ დაადგინა დახმარება აღმოუჩინოს სამთომადნო მუშებს და დაავალა მაკდონალდს, გენდერსონს და ბაქსტონს შეუთანხმდენ სამთომადნო მუშათა ნაციონალურ ფედერაციის აღმასკომს.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

1924—1925 წ. ბიუჯეტის გაფართოება.

მოსკოვი, 17 ივლისი. შესდგა საბიუჯეტო კომისიის პლენუმის საწრაფო სხდომა, 1924—25 წ. ბიუჯეტის გაფართოების საკითხების განსახილველად.

კომისიამ მიიღო სახელმწიფო საგეგმო კომისიის პროექტი ბიუჯეტის გაფართოების შესახებ.

აფეთქება მაღაროში

არტემოვსკი, 17 ივლისი. „ალბერტის“ მაღაროში აფეთქდა გაზი. 4 მუშა დაიმდუღრა, იმათგან 2 სასიკვდილოდ დაშავდა.

სამეცნიერო აკადემიის 200 წ. იუბილე.

ლენინგრადი, 17 ივლისი. სმოლნოში შესდგა სამეცნიერო აკადემიის 200 წლის არსებობის საშემოდგომო დღესასწაულის ჩამტარებელი კომისიის სხდომა.

200 წლის შესრულების დღეს, გადახდილი იქნება იუბილე. დღესასწაულზე უნდა მოწვეულ იქნან საკავშირო რესპუბლიკების მთავრობები და წარმომადგენლები სამეცნიერო დაწესებულებიდან. რუსეთის სამეცნიერო აკადემიას ეწოდება საკავშირო სამეცნიერო აკადემია.

საიუბილეო კომიტეტმა დაიჭირა კავშირი დასავლეთის გამოჩენილ მეცნიერებთან და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლებთან. დღესასწაული დაიწყება ერთდაიმავე დროს მოსკოვში და ლენინგრადში და გაგრძელდება ორ კვირას.

მეფის სასადილოებისა და სასტუმროების ლიკვიდაცია.

ლენინგრადი, 17 ივლისი. სახელმწიფო ფონდების კომისია ნიკოლოზ მეორის სასახლეში შეუდგა სასადილოებისა და სასტუმროების ლიკვიდაციას.

გარდა სასახლის საუცხოვო ავეჯეულობისა, რომელიც შეფასებულია 500.000 მან. მეტათ, მოიპოვება კიდევ დიდი არჩევანი სასადილო თეთრეულობისა და ჭურჭლეულობისა, შეფასებული 150.000 მანეთად. კომისიამ გასასყიდათ გადასცა საკმაო რაოდენობა სპარსეთის, ბუხარას, თექისა და გობლენის ხალიჩებისა. აგრეთვე დიდი რაოდენობა აბრეშუმისა და შალის მოქარგული ზეწრები, სუფრები და ფეხ-საფენები ხალიჩების რიცხვი აღის 300-დის მათი საერთო ზომა 15.000 კვ. არშინი.

უდიდესი ქარიშხალი ულიანოვსკში.

ულიანოვსკი, 17 ივლისი. გუშინ ქალაქზე გადაიარა უძლიერესმა ქარიშხალმა. ვოლგაზე ქარიშხალისაგან მოწყვეტილია გემები. ქარმა გადმოყარა გემიდან მრავალი საქონლით სავსე ყუთები, ვაზნების საკეთებელ ქარხნებში მუშაობა შესწყდა რადგან ქარიშხალმა აგლიჯა სახურავი, მუშის ნამტვრევებით დაჭრილია 15 კაცი.

ქარიშხალისაგან მიყენებული ზარალი დიდია. მის გამოსარკვევათ დანიშნულია სპ. [illegible] კომისია.

გერმანიის მუშათა დელეგაცია მოსკოვში

დელეგაციის მუშაობის გეგმა

მოსკოვი. 17 ივლისი. გერმანიის მუშათა დელეგაცია ჩამოვა მოსკოვში 20 ივლისს და დარჩება 3 დღეს შემდეგ დელეგაცია გაემგზავრება საბჭოთა კავშირის ქალაქების მრეწველობის და შრომის პირობების გასაცნობათ. დელეგაცია სამ ჯგუფადაა დაყოფილი, პირველი ჯგუფი დაათვალიერებს ცენტრალურ სამრეწველო რაიონს—მეორე ურალის რაიონს და მესამე კავშირის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილს. გერმანიის მუშები დაყოფენ საბჭოთა კავშირში ერთი თვეს.

დელეგაცია ქარხანაში— „კრასნი პუტილოვეც“

ლენინგრადი. 17 ივლისი. 15 ივლისს ქარხანაში „კრასნი პუტილოვეცს“ გერმანიის მუშათა დელეგაციის თანდასწრებით შესდგა მიტინგი, რომელსაც დაესწრო დაახლოვებით 10.000 კაცი. ქარხნის კომიტეტის თავმჯდომარემ მიტრუკინმა მიტინგის გახსნის დროს მიმართა დელეგაციას „ჩვენ გთხოვთ კარგად დაათვალიეროთ, ყოველივე მხრით შეისწავლონ ჩვენი მდგომარეობა და სამშობლოში დაბრუნებისას ნახული სწორედ გადასცეთ ჩვენს გერმანელ ხმხანაგებს“.

კრუპის ქარხნის მუშების წარმომადგენელმა საპასუხო სიტყვაში აღიშნა, რომ **ყველა ქვეყნების მუშები შრომობენ კაპიტალისტების სასარგებლოდ, საბჭოთა კავშირის მუშების შრომის ნაყოფიერება კი მიდის მუშურ სახელმწიფოს სასარგებლოდ.** ორატორმა აღნიშნა, რომ გერმანიის მუშების სურვილია გაეცნონ საბჭოთა კავშირის მუშების ნამდვილ მდგომარეობას და დაუახლოვდენ მათ.

პუტილოველებმა მოუწოდეს გერმანელ მუშებს შეკრან მჭიდრო კავშირი საბჭოთა კავშირის მუშებთან და გააბათილონ „ფორვერტს“-ის ჭორები, რომელსაც ის ავრცელებს „კრასნი პუტილოვეც“-ის შესახებ.

გერმანიის დელეგატმა ფრეიბერგმა აღნიშნა: **„დღეს ჩვენ დავრწმუნდით, რომ „ფორვერტს“-ის ცნობები** საბჭოთა კავშირის შესახებ სიყალბე და ცილისწამებაა“. მან გამოსთქვა სიხარული იმ მიღწევების გამო, რომელიც მოიპოვეს საბჭოთა კავშირის მუშებმა საკუთარი ძალით ევროპის დაუხმარებლად.

ლენინგრადი. 17 ივლისი. 16 ივლისს გერმანიის დელეგაციამ ხელმეორედ ინახულა „კრასნი პუტილოვეც“, სადაც დაწვრილებით გაეცნო მუშაობას და მოღვაწეობას ქარხკომიტეტისას, შემფასებელ-საკონფ. კომისიისას, დამზღვევი და საურთიერთო დამხმარე სალაროსას; შრომის დაცვისა და საწარმოვო-სადელეგატო თათბირებს. ფაბ.-საქარხ. სასწავლებლებში დელეგატები გაეცნენ სკოლის ხასიათს, დაათვალიერეს სამოსწავლო სახელოსნოები და ლაბორატორიები. გერმანელი მუშები გაოცდენ იმით, რომ საწარმოვო თათბირებში ჩაბმულია 1000 მეტი მუშა. ამ თათბირების მეოხებით ოსტატების თანამდებობაზე გამოყვანილია 29 უბრალო მუშა.

შემდეგ დელეგატებმა დაათვალიერეს მუშათა საცხოვრებელი ახალი სახლები, საქარხნო საავადმყოფო, კოოპერატივი. გაეცნენ უჯრედების მუშაობას და ინახულეს პიონერებიც.

საღამოზე პუტილოველებმა დელეგატების საპატივსაცემოთ პირველ მაისის ბაღში გამართეს დიდი საღამო. დაესწრო რამდენიმე ათასი მუშა. მოწყობილ იქნა მიტინგი. საკონცერტო პროგრამაში მონაწილეობას იღებდენ მხოლოდ ქარხნისავე ძალები. გერმანელმა მუშებმა დიდის აღტაცებით აღნიშნეს კულტურულ-განმანათლებელი მუშაობა ფაბრიკა-ქარხნებში.

საბჭოთა მფრინავები იაპონიაში

ტოკიო, 15 ივლისი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იაპონიაში კოპპმა მიიღო იაპონიის მთავრობისაგან ნებართვა პეკინიდან საბჭოთა ჰაეროპლანების გადასაფრენად ტოკიოში.

ფაშისტების თარეში ხარბინში

ხარბინი, 16 ივლისი. გრძელდება პოლიციელების თავდასხმა პიონერებსა და კომკავშირელებზე. პოლიციელებმა შეადგინეს ცალკე ჯგუფი „შავი ბეჭდის მეგობრების“ სახელწოდებით და ამ ჯგუფმა ჩხუბის დროს დასჭრა ორი კომკავშირელი.

მუშები და მუშათა ახალგაზრდობა აღელვებული არიან. ერთ კომკავშირელის დაკრძალვაზე გამოცხადდენ [illegible]. დაკრძალვა გადაიქცა დემონსტრაციათ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 5.000-ზე მეტმა კაცმა.

მონღოლეთის დამოუკიდებლობის 4 წლის თავი

ურგა, 16 ივლისი. მონღოლეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის 4 წლის თავზე შესდგა მიტინგი სამხედრო ნაწილების და მონღოლეთისა და ჩინეთის პროფკავშირების მონაწილეობით.

ყველა ორატორები აღნიშნავდენ იმ დახმარების მნიშვნელობას, რომელიც აღმოუჩინა საბჭოთა კავშირმა მონღოლეთს თეთრ-გვარდიელებისაგან განთავისუფლების საქმეში.

ორატორთა რიცხვში გამოვიდა გენერალ ფინ-იუი-სიანის წარმომადგენელიც.

შეღავათები შინამრეწველობას

მოსკოვი, 17 ივლისი. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა დაადგინა განთავისუფლებულ იქნან დამატებითი დაბეგვრისაგან შინამრეწველები — ნოხების დამმზადებლები შემდეგ რესპუბლიკებსა და ოლქებში:

ამიერ კავკასიის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკაში, უზბეკისტანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაში, თურქმენისტანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაში, ყაზახის, თათართა, ყირიმის და დაღესტანის ავტონომიურ ოლქებში, ადიგეი-ჩერქეზეთისა ყაბარდო-ბალკარიის, ყარაჩაი-ჩერქეზეთის, ჩეჩნეთის, ინგუშეთის, ჩრდილო ოსეთის და ყირგიზეთის ავტონომიურ ოლქებში, სუნჯის ოლქში და კავკავში.

„დროებით გადასდვეს“

„იზვესტია“-ს წერილი

მოსკოვი, 17 ივლისი. „იზვესტია“ რუმინელ გაზეთ „ლუპტას“ წერილის გამო, „მურმანსკიდან ბოსფორამდე ერთიან ანტისაბჭოთა ფრონტის შექმნის შესახებ“, სწერს: „ლუპტა“ სიხარულით აცხადებს, რომ დღევანდელი მომენტი ფრიად ხელსაყრელია ანტისაბჭოთა ფრონტის შესაქმნელად.

მაგრამ გაზეთი ამავე დროს სცდილობს დაფაროს კვალი. იგი აცხადებს, რომ „ომი საბჭოთა კავშირთან ახლობელ დროში შეუძლებელია“.

გაზეთი საკმაოთ გულახდილად ლაპარაკობს, თუ რაში მდგომარეობს ომის გადადების მიზეზი, დიალ მხოლოდ გადადების და მხოლოდ ახლო მომავლისათვის. გადადების მიზეზი საკმაოდ გაშუქებულია რუმინეთის გაზეთების მიერ. „ლუპტა“ გულმოდგინეთ ანგარიშობს ანტისაბჭოთა ერთიან ფრონტის შემადგენელ ნაწილების ხმელეთის და საჰაერო ძალებს და აღნიშნავს სასწრაფოდ მისაღებ ღონისძიებებს ამ ძალების გასადიდებლად. ჩვენი მოწინააღმდეგენი სდებენ ომს მხოლოდ იმისათვის, რათა უკეთესად მოემზადონ მისთვის.

ბერლინიდან მიღებული დეპეშები ლონდონში ბალტიის სახელმწიფოების გარეშე საქმეთა მინისტრების გამგზავრების შესახებ, ავსებს „ლუპტას“ განცხადებას.

გადადვეს, მაგრამ ხელი არ აუღიათ ამ გეგმაზე. სწარმოებს მზადება ერთიანი ფრონტის შესაქმნელათ.

მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის ნათელი უნდა იყოს, ვინ არის აქ თავდამსხმელი მხარე.

1914 წლის ომიც კი არ მზადდებოდა ასე აშკარად.

მაგრამ საბჭოთა კავშირისადმი მტრულათ განწყობილი ელემენტები ნუ დაივიწყებენ, რომ მშრომელნი ისე ბრმა აღარ არიან, როგორც 1914 წელს.

სხვა და სხვა ამბები

— **ამერიკა უარყოფს.** ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო უარყოფს ცნობას თითქოს მთავრობამ ინგლისთან ერთად კოლექტიური ნტოა გაუგზავნა მოვალეებს.

— **მონარქიული პროპაგანდა პოლონეთში.** პოლონეთის დასავლეთ ოლქებში ვრცელდება [illegible] მოწოდებები, რომლებშიც პოლიციას, ჯარსა და მოსახლეობას მოუწოდებენ მოახდინონ მონარქიული გადატრიალება. პოზნანის ოლქში დაბეჯითებით ამბობენ, რომ მონარქიული წყობილება პოლონეთში სულ ახლო ხანში დამყარდებაო.

— **ცანკოვის ჯალათები „მუშაობენ“.** სოფიიდან (ბოლგარეთი) მიღებულ ცნობებით ვასილ ივანოვს, რომელიც დაპატიმრებული იყო, ჩამოართვეს ხელწერილი, რომ ის გაანთავისუფლეს და შემდეგ მოჰკლეს ციხის გზაში.

საქართველოს ცაკის მეორე სესია

მეხუთე სხდომა

სხდომა იხსნება დილის 10 საათზე ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით

სათემო საბჭოს, სათემო აღმასკომის და მოქალაქეთა საზოგადო კრების დებულება

ამხ. მათიკაშვილის მოხსენება

— ამხანაგებო, როდესაც ჩვენ ვადგენდით სათემო საბჭოების და აღმასკომების დებულებას, ჩვენ ვცდილობდით გამოგვეხატა იქ ის ხაზი რომელიც აღებული აქვს საბჭოთა. ხელისუფლებას ძირითადი საბჭოთა აპარატის მიმართ.

დებულების მიზანია სათემო საბჭოების გამოცოცხლება, მათი დაახლოვება მასასთან და მათში ფართო უპარტიო გლეხობის ჩაბმა.

სათემო საბჭოს და სათემო აღმასრულებელ კომიტეტს, რომელნიც ხელისუფლების ორგანოებს წარმოადგენენ თემის ფარგლებში, ამოცანათ აქვთ: გლეხის მეურნეობის აღორძინება, ბრძოლა უვიცობასთან, გაუნათლებლობასთან, სნეულებასთან და სოფლის ცხოვრების სხვა ნაკლთან; მშრომელი მოსახლეობის უფლებათა დაცვა მუშების და გლეხების კავშირის საფუძველზე; ზედმიწევნით სწორი და სრული განხორციელება მუშურ-გლეხური მთავრობის კანონებისა, რომელთაც მიზნათ აქვთ მშრომელთა ცხოვრების გაუმჯობესება; გლეხების და გლეხ-ქალების ფართოდ ჩაბმა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში და სახელმწიფოს აპარატის გაუმჯობესების საქმეში.

რა მასალებით ვხელმძღვანელობდით ჩვენ სათემო საბჭოების და აღმასკომების დებულების გამომუშავების დროს?

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვეყრდნობოდით იმ გამოკვლევის მასალებს, რომლებიც მოახდინა საქართველოს ცაკთან საბჭოთა აღმშენებლობის საკითხების დასამუშავებლათ არსებული თათბირის კომისიებმა. ამ უკანასკნელთა მიერ გამოკვლეული იქნა 116 სათემო საბჭო და აღმასკომი.

ამ მასალებმა ჩვენ ნათლათ გადაგვიშალა თვალწინ ზოგიერთი ჩვენი ძირითადი აპარატების ნაკლოვანებანი და დებულების შედგენის დროს ეს მიღებული იქნა მხედველობაში.

ამას გარდა დებულებას საფუძვლათ დაედო საბჭოთა კავშირის ცაკთან საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ არსებულ თათბირის დადგენილებები. თათბირს არ გამოუცია კონკრეტიული დადგენილებები ხელისუფლების ამა თუ იმ ძირითადი ორგანოს შესახებ, მან მიიღო მხოლოდ საერთო, ზოგადი ხასიათის პრინციპიალური დებულებები, რომლებიც საფუძვლათ უნდა დაედოს ადგილობრივი აპარატების დებულებას.

ამასთანავე ამ დებულებას საფუძვლათ დაეთო სხვადასხვა პარტიულ და საბჭოთა ორგანოების მიერ მიღებული დადგენილებები საბჭოთა მუშაობის დარგში.

ორი თვის წინათ ამ ახალი დებულების პროექტი დაეგზავნა ადგილობრივ აღმასკომებს იმ მიზნით, რომ მათ განეხილათ ის და მოეწოდებიათ ჩვენთვის თავისი დასკვნა, თუ რა შესწორებები და დამატებები უნდა იქნეს შეტანილი პროექტში.

ასეთი მასალები ჩვენ მივიღეთ ზოგიერთი აღმასკომებისაგან; ისინი გადამუშავებული და დალაგებული იქნა და წარედგინა განსახილველათ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მოხსენებების დასამუშავებლათ არჩეულ კომისიას.

შემდეგ ამხ. მათიკაშვილი ახალი პროექტიდან კითხულობს იმ ადგილებს, რომლებიც ეხება სათემო საბჭოს მოვალეობა დანიშნულებას, სათემო საბჭოს ორგანიზაციას, სათემო საბჭოს სექციებს, სათემო საბჭოს და დეპუტატების ანგარიშგებას ამომრჩეველთა წინაშე, მოქალაქეთა საზოგადო კრებების მოწვევის წესებს, სათემო აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედების ძირითად ამოცანებს და უფლება მოვალეობას, სათემო აღმასკომის გამგებლობის საგნებს, სათემო აღმასრულებელი კომიტეტის ორგანიზაციას და სათემო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის და წევრების უფლება-მოვალეობას.

დასასრულ მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სათემო საბჭოს და აღმასკომის დებულების პროექტში გათვალისწინებული არ არის სათემო აღმასკომის დადგენილებათა შემსრულებელი აპარატი.

ეს გამოწვეულია იმით, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში ამ მხრივ სხვადასხვაგვარი ტრადიცია და პრაქტიკაა. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში თემში შემავალ სოფლებში არიან არჩეული პირები—ათისთავები, რომლებიც ცხოვრებაში ატარებენ სათემო აღმასკომის დადგენილებებს; ათისთავებს ირჩევენ განსაზღვრული ვადით და ისინი უფასოთ მუშაობენ.

აღმოსავლეთ საქართველოში სულ სხვანაირი მდგომარეობაა. აქ არიან სოფლის რწმუნებულები, რომლებიც გასამრჯელოს იღებენ სოფლის მოსახლეობისაგან. ამ პირების სამსახურის ვადა არ არის განსაზღვრული, მათ შეუძლიათ რამოდენიმე წელი დაჰყონ თავის თანამდებობაზე.

ამ ორი ტრადიციის, პრაქტიკის შესათანხმებლათ სესიის მიერ არჩეულმა კომისიამ დაავალა სათანადო ორგანოს შეიმუშაოს სათემო აღმასკომის დადგენილებათა შემსრულებელი აპარატის დებულება, რომელიც უნდა აერთიანებდეს საქართველოს ორივე კუთხეში შემოღებულ პრაქტიკას და ამავე დროს შეეფერებოდეს იქაურ ტრადიციას და პირობებს.

კამათი

ამხ. მათიკაშვილის მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ვასო ქურდაძემ (გორის მაზრა), მამალაძემ (ოზურგეთის მაზრა), აფრასიძემ (ზემო სვანეთი), ჩახნაშვილმა (სიღნაღის მაზრა) და სიმ. ჯუღელმა.

ორატორები, უმთავრესად, აღნიშნავდენ არანორმალურ ურთიერთობას რაიონულ მილიციასა და სათემო აღმასკომებს შორის და მოითხოვდენ კავშირის გაძლიერებას სათემო საბჭოსა და ადგილობრივი მოსახლეობის შორის.

ამხ. მათიკაშვილის საბოლოო სიტყვა

— ამხანაგებო, აქ ნათქვამი იყო, რომ თემს არ ყავს თავისი მილიცია და ამის გამო სათემო საბჭოს მუშაობა ფერხდება. ეს მართალია, მაგრამ ჩვენ ამჟამად არ გვაქვს საშუალება საბოლოოთ გადავწყვიტოთ ეს საკითხი.

სამაზრო მილიციის განაწილება თემებზე შეუძლებელია, რადგან მილიცია მცირერიცხოვანია და განაწილების შემდეგ თითო თემზე მოვა 1 მილიციონერი, ზოგან კი არც ერთი.

ამ გზით მდგომარეობის გამოსწორება არ შეიძლება. ერთადერთი საშუალებაა მილიციის შტატის გადიდება, რაც ცალკე საკითხად უნდა იქნეს დასმული.

რაც შეეხება გამწვავებულ ურთიერთობას რაიონულ მილიციასა და სათემო აღმასკომებს შორის, უნდა ითქვას, რომ ეს მდგომარეობა, რასაკვირველია, არანორმალურია. საჭიროა მიღებული იქნეს ზომები ამ ურთიერთობის გასაუმჯობესებლათ.

აქ აღნიშნული იყო, რომ თემის საბჭოს [illegible] დროს, რომლებიც [illegible] სოფლის ცხოვრების სხვადასხვა მხარეებს, ამის შესახებ უნდა შეეკითხოს ადგილობრივ მოსახლეობას. ეს არის გათვალისწინებული ჩვენს დებულებაში, სადაც ნათქვამია, რომ სათემო საბჭოს შეუძლია დასვას განსახილველათ საზოგადო კრებაზე ყველა ის საკითხები, რომლებიც სათემო საბჭოს ექვემდებარება; განსაკუთრებით კი ის დასვამს საკითხებს კეთილმოწყობისა და სოფლის შინაური ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ.

ამხ. მათიკაშვილის საბოლოო სიტყვის შემდეგ სესიამ ამხ. ვასო ქურდაძის წინადადებით აირჩია კომისია რაიონული მილიციის და სათემო საბჭოების ურთიერთობის შესასწავლათ და მათი ფუნქციების საბოლოოთ ჩამოსაყალიბებლათ.

კომისიაში შევიდენ: ამხ. მათიკაშვილი, ჩახნაშვილი, ქურდაძე, შოგირაძე, ლორთქიფანიძე, ვარძიელი და ჯუღელი (თავმჯდომარე).

სამაზრო ქალაქის საბჭოს დებულება

ამხ. მათიკაშვილის მოხსენება

სამაზრო ქალაქის საბჭოს ისეთივე დანიშნულება-მოვალეობა აქვს, როგორც სათემო საბჭოს, მხოლოდ ეს უკანასკნელი მოქმედობს თემის ფარგლებში, სამაზრო ქალაქის საბჭო კი ქალაქის ფარგლებში.

ქალაქის საბჭო არის ხელისუფლების ორგანო ქალაქის ფარგლებში და აერთიანებს ყველა მშრომელთ მონაწილეობის მისაღებათ სახელმწიფო მართვა-გამგეობასა და ადმინისტრატიულ-სამეურნეო აღმშენებლობაში.

გამოცდილებამ დაამტკიცა, რომ სამაზრო ქალაქების საბჭოები ფიქცია იყო. საქალაქო საბჭო არაფერს არ აკეთებდა, არავითარ საკითხებს არ იხილავდა; ის სხდომებსაც კი არ იწვევდა რეგულიარულათ. საბჭო რამოდენიმე თვეში მხოლოდ ერთხელ თუ შეიკრიბებოდა, ისიც რაიმე ინფორმაციული მოხსენების მოსასმენათ. პრაქტიკული მუშაობის წარმოებაში მას არავითარი უნარი არ გამოუჩენია.

ასეთი მდგომარეობის მიზეზი იყო, ერთის მხრივ, მატერიალური დასაყრდენის, ბიუჯეტის უქონლობა და, მეორეს მხრივ, ცალკე ხელმძღვანელის—პრეზიდიუმის უყოლობა.

თუ ჩვენ გადავხედავთ საბჭოთა კავშირის სხვა რაიონების გამოცდილებას, დავინახავთ, რომ იქაც ასეთი მდგომარეობა იყო, მაგრამ ბიუჯეტის შედგენის და ახალი დებულების გამომუშავების შემდეგ მდგომარეობა გამოკეთდა.

ჩვენი დებულების შედგენის დროს ჩვენ ვხელმძღვანელობდით საბჭოთა კავშირის ცაკთან საბჭოთა აღმშენებლობის შესახებ არსებულ თათბირის მიერ გამომუშავებულ საერთო დებულებებით. ამასთანავე ჩვენ ამ საერთო დებულებებში შევიტანეთ მცირეოდენი ცვლილებები ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით.

შემდეგ ამხ. მათიკაშვილმა დებულების პროექტიდან წაიკითხა ადგილები, რომლებიც ეხება ქალაქის საბჭოს ძირითად ამოცანებს და უფლება-მოვალეობას, ქალაქის საბჭოს ორგანიზაციას, ქალაქის საბჭოს სექციებს, ქალაქის საბჭოს წევრთა უფლება-მოვალეობას, ქალაქის საბჭოს აღმასრულებელ ორგანოებს და ქალაქის საბჭოსა და დეპუტატების ანგარიშგებას ამომრჩეველთა წინაშე.

მეექვსე სხდომა

სხდომა იხსნება საღ. 6 ნახ. საათ. ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით

თემის კავშირი მაზრასთან

17 ივლისის საღამოს სხდომაზე სესიამ მოისმინა და მუხლობრივ განიხილა დებულება ხელისუფლების ცენტრალურსა და ძირითად ორგანოებს შორის ცოცხალი და წერილობითი კავშირის განმტკიცების შესახებ.

დებულებაში ნათქვამია, რომ სათემო საბჭოს და მისი აღმასკომის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით და ამ მუშაობისათვის გეგმიანობისა და მთლიანობის მისაცემათ საჭიროა მჭიდრო კავშირი მოეწყოს სამაზრო აღმასკომთან.

კავშირი შეიძლება იქნეს ცოცხალი და წერილობითი.

წერილობითი კავშირი უნდა გამოიხატოს შემდეგში: სათემო საბჭოს და აღმასკომის სხდომების ყველა ოქმები რეგულიარულათ უნდა ეგზავნებოდეს სამაზრო აღმასკომს იმისათვის, რომ ისინი განხილული იქნეს და თავის დროზე იქნეს შესწორებული დადგენილებებში დაშვებული შეცდომები და ნაკლულევანებანი.

სამაზრო აღმასკომი ვალდებულია საჭიროების მიხედვით სათემო აღმასკომებს აძლიოს ცირკულიარული განკარგულებანი და განმარტებანი, მხოლოდ ამით უზომოთ არ უნდა დაიტვირთონ თემის მუშაკები.

აღნიშნული წერილობითი კავშირის გარეშე ზედმეტი მიმოწერის წარმოება დაუშვებელია და სათემო აღმასკომებს წერილობითი ანგარიშები არ უნდა მოეთხოვოთ.

სათემო და სამაზრო აღმასკომებს შორის კავშირის ძირითად ფორმად ცნობილი უნდა იქნეს ცოცხალი, უშუალო კავშირი, რომელიც უნდა გამოიხატოს შემდეგში:

სამაზრო აღმასკომებმა უნდა მოიწვიონ ფართო პლენუმები თემაღმასკომების წარმომადგენელთა მონაწილეობით. სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის სხდომებზე გამოძახებული უნდა იქნენ სათემო აღმასკომების ცალკე წარმომადგენლები მუშაობის შესახებ მოხსენებების გასაკეთებლათ.

სამაზრო აღმასკომებს [illegible] საანგარიშო მოხსენებები [illegible] თავისი მუშაობის შესახებ სათემო საბჭოების სხდომებზე.

შემდეგ დებულება ეხება თემის და მაზრის კავშირს ცენტრთან და სამაზრო აღმასკომის მიერ ხელისუფლების ცენტრალური ორგანოსათვის ანგარიშის ჩაბარების წესს.

დებულების დამტკიცების შემდეგ ამხ. ვარძიელმა მოახსენა სესიას ის ცვლილებები და დამატებები, რომლებიც შეიტანა სისხლის სამართლის კოდექსში იუსტიციის სახალხო კომისარიატის მოხსენების დასამუშავებლათ არჩეულმა კომისიამ.

სესიამ მიიღო კომისიის მიერ წარმოდგენილი ცვლილებები და დამატებები ზოგიერთების გამოკლებით.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

სახალხო სახლის აგებისათვის

ქუთაისი, 16 ივლისი. ქუთაისის მაზრის ჩხენისის თემში შეუდგენ სახალხო სახლის აგებას. ამ სახლის ასაგებათ საჭირო ფული ნაწილობრივ შეკრებილია თვით გლეხების მიერ. შენობის დასრულება განზრახულია შემოდგომისათვის.

მგლები

ქუთაისი, 16 ივლისი. ქუთაისის მაზრის კულაშის თემში გაჩნდენ მგლები, რომლებიც იტაცებენ გლეხების საქონელს.

ამ თემის მცხოვრებთა თხოვნით საქართველოს მონადირეთა კავშირის ქუთაისის განყოფილება გლეხებთან ერთად მოაწყობს მგლებზე ნადირობას.

შეფობა

ქუთაისი, 16 ივლისი. ტყიბულის მაღაროს მუშათა კავშირმა აიღო შეფობა ექვს ახლომდებარე სოფელზე, სადაც გლეხობასთან დაკავშირების მიზნით გაგზავნა კავშირის დრამატიული და მუსიკალური წრეები. წარმოდგენებისა, კონცერტებისა და აგიტსაღამოების მოსაწყობათ.

შეფობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ს. ა. ლ. კ. კ. ტყიბულის ორგანიზაცია.

აგრო დახმარება

ახალქალაქი, 16 ივლისი. გლეხებისათვის აგრო დახმარების გასაძლიერებლად სამაზრო აღმასკომმა მოიწვია ორი რაიონული აგრონომი.

საექიმო პუნქტები

ახალქალაქი, 16 ივლისი. სოფ. ყარზახსა და ხერთვისში, ნაცვლად გაუქმებულ საფერშლო პუნქტებისა, გახსნილია საექიმო პუნქტები.

უახლოეს ხანში ბარალეთში გაიხსნება რაიონული საავადმყოფო 10 საწოლით და ახალქალაქში სწრაფ გადამდებ სნეულებათა ბარაკით 20 საწოლით.

აჭარისტანი

კალია

ბათომი, 16 ივლისი. ქედის მაზრაში გაჩენილი კალია, თავის დროზე მიღებულ ზომების გამო სრულიად განადგურებულია.

სააღმშენებლო მუშაობა

ბათომი, 16 ივლისი. ნავთსადგურის მართველობის მიერ ახლო მომავალში დამთავრდება ბურუნტაბიეს სანაპირო სიმაგრეების შეკეთება.

რადიო სადგურის შეკეთება

ბათომი, 16 ივლისი. დაიწყო ნავთსადგურის რადიო სადგურის შეკეთება, რისთვისაც გადადებულია 15 ათასი მან.

თამბაქოს მოსავალი

ბათომი, მიწათმოქმედების კომისარიატის ცნობებით აჭარისტანში თამბაქოს მოსავალი მიმდინარე წელში მოსალოდნელია საშუალოზე მეტი.

აზერბეიჯანი

ნახიჩევნის მხარე

სიცხე

ნახიჩევანი, 16 ივლისი. ნახიჩევანში დიდი სიცხეებია. 15 ივლისს ჩრდილში იყო 38 გრადუსი, ხოლო მზეზე —50 გრ. სიცხის მიზეზით მრავალი ახლად ჩამოსული ავად გახდა.

ეკონომიური ცხოვრება

ფასების დაკლება

უკანასკნელ კვირაში ბათომის ბაზარზე შემჩნეულია ფასების საერთო დაკლება ყველა საკვებ პროდუქტებზე. ძალიან დაეცა ფასები, განსაკუთრებით მწვანილეულობაზე.

ა. | კავკასიის ნედლეულობა

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობასთან და საქონლის ბირჟასთან არსებულმა ნედლეულობის გამომრკვევმა ექსპერტიზამ შეაგროვა ამიერ-კავკასიის ნედლეულობის ყველა ნიმუშები მათი ხარისხის და გამოუდეგარობის აღნიშვნით. ასეთი კოლლექციები გაგზავნილ იქნა მოსკოვსა და ლენინგრადში.

ბათომის ბირჟაზე

ივნისის განმავლობაში ბირჟის ბრუნვამ ბათომში მიაღწია 580,106 მანეთს, რაც მაისთან შედარებით ოდნავ გადიდებულად უნდა ჩაითვალოს. ბირჟის გარეშე ბრუნვა მაისთან შედარებით დაეცა. მაისში იყო 175 ათასი მანეთი, ივნისში—125 ათასი მანეთი, ე. ი. 50 ათასით იკლო.

გარიგებანი კონტრაგენტებთან გაყიდვის დარგში მაისთან შედარებით ოდნავ შეიცვალენ. კოოპერატიულ ორგანიზაციების მონაწილეობა გაყიდვის საქმეში მაისთან შედარებით 5,1 პროც-ით ხოლო საერთო ბრუნვის მიხედვით 1,5 პროც. შემცირდა. ყიდვის დარგში შემჩნეული ცვლილებები: სახელმწიფო ორგანოების მონაწილეობა 12,9 პროცენტიდან გადიდდა 36 პროცენტამდე. მოხდარია დიდი გარიგებანი ბამბაზე, ლითონის საგნებზე, მანუფაქტურაზე, საიმპორტო ფქვილზე და მარცვლეულობის პროდუქტებზე.

სამრეწველო წარმოებანი საქართველოში.

საბჭოთა კავშირის სახ. მეურ. უმ. საბჭოს დადგენილების თანახმად, ა.-კავკასიის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ განიხილა საკითხი საქართველოში სამრეწველო წარმოებათა მოწყობის შესახებ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ მიზანშეწონილად და საქართველოს ინტერესებისათვის ხელსაყრელად სცნო სამი სახერხი ქარხნის მოწყობა საქართველოში საპარატო წარმოების განყოფილებით. ქარხნების წინასწარი ხარჯთაღრიცხვა უმ. ეკონ. საბჭომ მოიწონა.

ბამბის მეურნეობა

შარშან აფხაზეთში ბამბა გაშენებული ჰქონდა 1000 მეურნეს. მიმდინარე სეზონში ეს რიცხვი 4000-მდე ავიდა. მებამბეთა რიცხვის ასეთ ზრდა საჭიროდ ხდის მებამბეთა კოოპერაციის მოწყობას აფხაზეთში ჯერჯერობით მებამბენი აღრიცხულნი არიან და დარიგებული აქვთ მთესველთა წიგნაკები.

ნავთის სახდელი ქარხანა

„ნავთსინდიკატ“-ი კორონის წყლის მიდამოებში აგებს ნავთის სახდელ ქარხანას. ადგილის გადაღება და ნიაველიროვკა უკვე დასრულებულია.

პარიტეტული კონტრ-რევოლიუციის გასამართლება

მეორე დღე

(16 ივლისი)

დილის სხდომა*)

მოწმეების დაკითხვა

ი. ფირცხალაიშვილის ჩვენება

პირველ მოწმედ გამოძახებულია ილია გიორგის ძე ფირცხალაიშვილი.

ის ეხლა თავის თავს უპარტიოთ სთვლის. უწინ, ის ეკუთვნოდა სოციალ-დემოკრატების იმ ჯგუფს, რომლებიც გამოეყვნენ მენშევიკებს და დაარსეს ცალკე ჯგუფი „სხიველების“ სახელწოდებით.

მოწმე დაწვრილებით უყვება სასამართლოს ამ ჯგუფის ჩასახვისა და განვითარების ისტორიას. ეს ჯგუფი საქართველოს გასაბჭოების პირველ ხანებში ლეგალურად მუშაობდა, შემდეგ სხიველებს არალეგალური მუშაობისათვის მოუკიდიათ ხელი. რატომ მოხდა ეს? თვით მოწმე ამას სულ „უბრალოთ“ ხსნის. ჩვენ მოცემული გვქონდა სადგომი რუსთაველის პროსპექტზე. ეს იმ დროს იყო, როდესაც სახლების ქირა დაწესებული არ იყო, შემდეგ, როდესაც ქირა შემოიღეს, ჩვენ ფული არ გვქონდა და ამიტომ ჩვენი ბიუროც დავკეტეთ. ხოლო რაც შეეხება გაზეთს, რომელსაც ჩვენ ვსცემდით, ისიც უსახსრობის გამო დავხურეთ, ამბობს ის.

ამის შემდეგ „სხიველებს“ თავი ამოუყვიათ პარიტეტულ კომიტეტში. ამ კომიტეტში შესვლასაც ძალიან ახირებულათ ხსნის ეს მოწმე. ჩვენ პარიტეტულ კომიტეტში იმიტომ შევედით, რომ, თუ ვინიცობაა, საბჭოთა ხელისუფლება აღარ იქნებოდა საქართველოში, ჩვენ გადაწყვეტილი გვქონდა, რომ მენშევიკებისათვის არ მიგვეცა საშუალება უწინდებური მდგომარეობა დაებრუნებიათ და წინანდებურათ გაბატონებულიყვნენ. ასეთია მოწმე ფირცხალაიშვილის განცხადება. მაგრამ სულ სხვანაირია მისი ჩვენება ამ საკითხის შესახებ წინასწარი ძიების დროს. მას აქვს განცხადებული, რომ პარიტეტულ კომიტეტში შესვლა „სხიველების“, გამოწვეული იყო „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით“.

თავმჯდომარე: იდგა თუ არა თქვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლის გზას?

ფირცხალაიშვილი: რასაკვირველია, როდესაც „სხიველებმა“ გადასწყვიტეს პარიტეტულ კომიტეტში შესვლა, ამით მათ დაადასტურეს და აღიარეს ბრძოლის საჭიროება.

ირკვევა, რომ „სხიველებს“ ჰყოლიათ თავიანთი წარმომადგენელი პარიტეტულ კომიტეტში, მაგრამ მოწმე აცხადებს, რომ ასეთი წარმომადგენელი იყო მუხრან ხოჭოლავა, რომელიც 1922 წლის დამლევს გარდაიცვალა. მის შემდეგ, ჩვენ პარიტეტულ კომიტეტში არავინ გაგვიგზავნია, ამბობს მოწმე—თუმცა იძულებულია დაამოწმოს ის გარემოება, რომ იგივე საკითხი, ესე იგი საკითხი იმის შესახებ, გაეწყვიტათ თუ არა კავშირი პარიტეტულ კომიტეტთან, „სხიველებს“ მხოლოდ 1923 წლის შემოდგომაზე დაუსვამთ თავიანთ კონფერენციაზე გადასაწყვეტათ. გარდა ამისა თვით მოწმეს აქვს განცხადება წინასწარი ძიების დროს, რომ ხოჭოლავას სიკვდილის შემდეგ პარიტეტულ კომიტეტში შედიოდენ იმნაიშვილი, ნინიძე და გიორგაძე. როდესაც მას ეს ადგილი გაახსენეს, დავთარი დაიბნა და დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ „სხიველებს“ პარტიული ორგანიზაცია ხეირიანათ მოწყობილი არ ჰქონიათ, რომ საკითხები იქ სწყდებოდა, ქუჩაში უბრალო შეხვედრის დროს და სხვა.

თავმჯდომარე: იყო თუ არა თქვენ პარტიაში მემარჯვენე და მემარცხენე მიმართულება, ვინ იყო მემარჯვენე მიმართულების მომხრე და მეთაური?

ფირცხალაიშვილი. ჩემის აზრით ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები უფრო მემარჯვენე მიმართულების იყვენ.

თავმჯდომარე: თქვენ უნდა უთხრათ სასამართლოს, ვინ ეს იყვნენ ეს ამხანაგები.

ფირცხალაიშვილი: დანამდვილებით არ ვიცი.

თავმჯდომარე: თქვენ იყავით ცეკას წევრი და უნდა გცოდნოდათ, რა და რა მიმართულება იყო პარტიაში. თქვენ ლაპარაკობთ ერთ ალაგას, რომ მემარჯვენე მიმართულების მომხრე და მეთაურები იყვენ ნინიძე და იმნაიშვილი, რომლებიც მოითხოვდენ მენშევიკებთან გაერთიანებულ ფრონტი[illegible]

ფირცხალაიშვილი აქაც სცდილობს თავი გამოიძვრინოს და მიჰყვება ლობე-ყორეს. „ჩვენ რეგისტრაცია არ გვქონიაო“ ამბობს ის, იმისათვის, რომ სწორათ დასმულ კითხვაზე პასუხი არ გასცეს.

მთელი ეს ჩვენება აგებულია, რაღაც ორჭოფ და ორპირ მიკიბულ-მოკიბულ პასუხებზე. ფირცხალაიშვილი სცდილობს დაუმტკიცოს სასამართლოს, რომ „სხიველებს“ სძულდათ მენშევიკები, რომ ისინი პარიტეტულ კომიტეტში შევიდნენ ამ კომიტეტის მუშაობის ხელის შესაშლელათ (!), თუმცა ამავე დროს „სხიველებთა“ შორის ყოფილა ხალხი, რომელიც მოითხოვდა მენშევიკებთან საერთო ფრონტით მუშაობას და თვით ფირცხალაიშვილი არ უარყოფდა ამ გარემოებას წინასწარი ძიების დროს. ფირცხალაიშვილი ამტკიცებს, რომ „სხიველები“ 1922 წლის დამლევს გამოვიდენ პარიტეტიდან, თუმცა იძულებულია აღიაროს, რომ ამ საკითხს „სხიველები“ 1923 დამლევს კიდევ სწყვეტდენ და არ ჰქონდათ გადაჭრილი.

საღამოს სხდომა

მიხ. მარიამიძის ჩვენება

ი. ფირცხალაიშვილის შემდეგ ჩვენებას იძლევა მოწმე მიხ. მარიამიძე, ყოფილი სხიველი, სხიველთა პარტიის ცეკას წევრი:

მე ვიყავი აქტიური წევრი მენშევიკური პარტიისა. 1924 წელში გარიცხული ვიყავი პარტიიდან. მე ვმუშაობდი გორის მაზრაში. ეს გარიცხვა გამოწვეული იყო ჩემი გადახრით მარცხნივ. ეს იყო 1920 წელში, როდესაც გასაბჭოება მოხდა. სხიველების ჯგუფი ჩამოყალიბების პროცესში იყო. მერმე ეს ჯგუფი იზრდებოდა და შენდებოდა მენშევიკურ პარტიის ხარჯზე.

რომ საერთოდ დიდი უკმაყოფილება იყო მენშევიკების მოქმედებით, რამაც მოუმზადა ნიადაგი მემარცხენე ელემენტის წარმოშობას,—აიხსნებოდა იმით, რომ როდესაც მენშევიკური პარტია სახელმწიფოს სათავეში იდგა, ის ასცდა კლასობრივ გზას და დაიწყო ბურჟუაზიულ სახელმწიფოს შენება. ამიტომ მე ვსცდილობდი ისეთი პარტიის, ისეთი ორგანიზაციის მონახვას, სადაც ეს კლასობრივი ხაზი დაცული იქნებოდა და სადაც შევსძლებდი ჩემი მსოფლმხედველობის დაკმაყოფილებას. სამწუხაროდ, მე სხიველების ჯგუფი მივიღე ასეთ ორგანიზაციათ, რომელშიაც პერსონალურად შედიოდენ მემარჯვენე მსოფლმხედველობის ამხანაგები.

პირველ ხანებში, როგორც კი ჩამოვშორდი მენშევიკურ პარტიას და სხიველების ჯგუფში დავიწყე მუშაობა, მიხდებოდა ორგანიზაციულ საქმეების წარმოება. მე დავალებული მქონდა, მაგალითად, დასავლეთ საქართველოში ორგანიზაციების მოწყობა. ეს იყო 21 წელში, მაშინ, როდესაც ლეგალურად ვარსებობდით და საკუთარი ბიუროც გვქონდა. ერთ დროს გაზეთიც გამოვეცით.

21 წელშივე დაისვა საკითხი საორგანიზაციო კომიტეტის მოწყობის. მას უნდა მოეწვია კონფერენცია, უნდა შეემუშავებინა წესდება. მაშინვე დაისვა საკითხი, რომ ამ საორგანიზაციო კომიტეტს უნდა დამოკიდებულება ჰქონოდა და კავშირი აღედგინა იმ პარტიებთან, რომლებიც იცავდენ საქართველოს დამოუკიდებლობას.

მე მხვდებოდნენ ხშირად ძველი მუშები და მეტყოდენ ხოლმე ირონიულად,—რა პარტიაა თქვენი პარტია, თქვენ სულ 5 ნახ. კაცი ხართ. და იმ მოსაზრებებით, რომ ჩვენ ავტორიტეტი მოგვეპოვებინა და ჩვენთვისაც ანგარიში გაეწიათ, ვაწარმოებდით მოლაპარაკებას სხვა პოლიტიკურ პარტიებთან. ეს ჰქონდა დავალებული მუხრან ხოჭოლავას. ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ არ გვცნობდნენ როგორც პარტიას. ჩვენ კი ვსცდილობდით პარტიათა კავშირში შევსულიყავით, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია. მე მახსოვს, რომ მუხრან ხოჭოლავა აკეთებდა მოხსენებას პარიტეტულ კომიტეტში მუშაობის შესახებ.

მალე კონფერენციაც მოვიწვიეთ. დღის წესრიგი არ მახსოვს კარგათ, მაგრამ ერთი ცხადია, რომ ის არ გვაკმაყოფილებდა. კონფერენციის შემდეგ მენშევიკურ პარტიამაც გვიცნო ცალკე პარტიათ, მაგრამ ჩვენი ჯგუფის პარტიულ მუშაობას ანგარიშს მაინც არ უწევდენ.

ამავე დროს, პარიტეტული კომიტეტი სდგამს უტაქტო ნაბიჯებს: ამ ხანებში მოხდა ჩოლოყაშვილის გამოსვლა. ამან ცუდი გავლენა მოახდინა ჩემზე და იმ ამხანაგებზე, რომლებიც ვერ ურიგდებოდენ აჯანყებას, როგორც ბრძოლის მეთოდს. შემდეგ ჩვენში დაიბადა აზრთა სხვადასხვაობა. საერთოდ თანდათან მომწიფდა საკითხი იმის შესახებ, რომ ასეთ პირობებში მუშაობა შეუძლებელია და უნდა მოხდეს გამიჯვნა ავანტიურისაგან. რასაკვირველია, ბრძოლის მეთოდები, რომელიც პარიტეტულ კომიტეტს ჰქონდა, ჩემთვის სრულიად მიუღებელი იყო.

1923 წელში მოხდა მეორე კონფერენცია. იქ სერიოზულად დაისვა ჩვენი პარტიის პარიტეტულ კომიტეტთან დამოკიდებულების კითხვა. ამასთანავე უნდა აღვნიშნო, რომ ბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე, სანამ კონფერენცია შესდგებოდა, დადგენილი იყო კავშირი გაგვეწყვიტა პარიტეტულ კომიტეტთან და სამისო დავალება მივეცით ბიუროს, მასვე უნდა მოეწესრიგებია ეს კითხვა ფორმალურად. მეორე კონფერენციაზე კი გამოირკვა, რომ ეს არ არის შესრულებული. მე ამიტომ შევეკითხე მომხსენებელს:—რა დამოკიდებულება გვაქვს პარიტეტულ კომიტეტთან? მომხსენებელმა, გრიგოლ გიორგაძემ, განაცხადა, რომ ჩვენ არავითარი კავშირი პარიტეტულ კომიტეტთან არა გვაქვსო. ამის შემდეგ მე დამატებითი კითხვები აღარ მიმიცია, რადგან ეს იქნებოდა ეჭვის შეტანა მომხსენებლის გულწრფელობაში და მის ნათქვამში. მაგრამ ჩვენ ბოლოს და ბოლოს ვსთქვით, რომ რეზოლიუცია არ არის დამაკმაყოფილებელი. ამის შემდეგ მე დამაპატიმრეს. აჯანყების ხანებში ციხეში ვიჯექი. საგანგებო კომისიამ ჩემი საქმეც დაუკავშირა აჯანყების საერთო გამოძიებას.

განცვიფრებულმა მე მოვითხოვე გიორგაძის ნახვა. მართლაც, შემახვედრეს გიორგაძე, საშინლად აღელვებული ვიყავი, ვინაიდან უდანაშაულოდ ვგრძნობდი თავს და ვერ გამეგო რა მიზეზით მიხდებოდა ციხეში ყოფნა.

შემოსვლისთანავე გიორგაძეს მივმართე:—რაშია საქმე, თუ იღებდით მონაწილეობას ამ გამოსვლებში, მაშინ აიღეთ თქვენ თავზე პასუხისმგებლობა, ან შენ ან კირილე ნინიძემ. ჩვენ რაში ვართ დამნაშავე, რომ აქ ვზივართ მეთქი. მან მიპასუხა:—ნახე ანდრონიკაშვილი და იმას ჰკითხეთ. ჩვენც ვნახეთ ანდრონიკაშვილი, რომელმაც გვითხრა, რომ მუხრან ხოჭოლავას სიკვდილის შემდეგ ხანდიხან ვხვდებოდით კირილე ნინიძეს და გრიგოლ გიორგაძეს.

სიტყვის დასრულების შემდეგ, სასამართლოს თავმჯდომარე ეკითხება მოწმე მარიამიძეს, იცის თუ არა მან რაიმე გიორგაძისა და იმნაიშვილის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ და თუ იცის, რა ნიადაგზე წარმოიშვა მათ შორის ეს დამოკიდებულება.

მ. მარიამიძე: ჩემი შთაბეჭდილება ასეთია, რომ უნდა ყოფილიყო დავა „მე“-ობაზე, თუ რომელი ყოფილიყო ხელმძღვანელი და მეთაური ჩვენი პარტიის და ვის უნდა ჰქონოდა მეტი გავლენა მასზე. ასეთია ჩემი შთაბეჭდილება. ისე კი ხშირი შეხვედრა არ გვქონია. იმნაიშვილი, მაგალითად, არ მინახავს მთელი წლის განმავლობაში. ერთხელ კი შემხვდა გიორგაძე და მითხრა: იმნაიშვილი მაბრალებს, თითქოს მე ოკუჯავასთან ვაწარმოებდე რაიმე მოლაპარაკებას ჩვენი პარტიის შესახებ.

სახელმწიფო ბრალმდებელი ეკითხება მოწმეს:—რით იყო გამოწვეული, რომ ის ასე გადაჭრით მოითხოვდა პარიტეტულ კომიტეტთან კავშირის გაწყვეტას და ახსოვს თუ არა მას წერილობითი ჩვენება, რომელიც მისცა მან საგანგებო კომისიას ამ საკითხის შესახებ დაახლოებით შემდეგი შინაარსის: მესამე კონფერენციაზე გიორგაძემ განაცხადა, რომ პარიტეტულ კომიტეტთან შევსწყვიტეთ კავშირი, რადგან ამ კომიტეტს კავშირი აქვს ბანდიტებთან და ტერორისტულ აქტებში მონაწილეობას იღებს, როგორც, მაგალითად, საშა ობოლაძის მკვლელობაში.

მარიამიძე უპასუხებს: დიახ, მახსოვს, და ესეც დაუმატეთ, რომ მე გამოძიება მაშინ კარგათ არ წამიკითხავს და ალბათ ამიტომ გამომრჩა დამემატებია, რომ ამას გარდა ისინი ემყარებოდნენ ბანდიტებზე და, რაც უმთავრესია, ადგენ ინტერვენციის გზას.

ბრალდებულთა შორის ყველაზე მეტს შეკითხვას მოწმეს აძლევენ კ. ნინიძე და ნ. იმნაიშვილი. თავის შეკითხვებით ისინი სცდილობენ მიიღონ პასუხი, რომელიც გაამართლებს მათ მემარჯვენეობის პოზიციას, მაგრამ მოწმის პასუხიდან ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ ნინიძე, იმნაიშვილი და გიორგაძე სათავეში უდგენ იმ მიმართულებას, რომელიც მენშევიკურ და სხვა ანტისაბჭოთა პარტიებთან კავშირის გაძლიერებას და დახლოვებას სცდილობდა. გარდა ამისა, ამავე შეკითხვებიდან ირკვევა, რომ მუხრან ხოჭოლავას სიკვდილის შემდეგ სხიველებს არ გაუწყვეტიათ კავშირი პარიტეტულ კომიტეტთან.

ბრალდებული ქარცივაძე და რცხილაძე ეკითხებიან მოწმე მარიამიძეს, თუ რაზე იყო აშენებული მისი წარმოდგენა პარიტეტულ კომიტეტზე, როგორც ინტერვენციის და ბანდიტურ გამოსვლების ხელმძღვანელ ორგანიზაციაზე.

მოწმე მარიამიძე განმეორებით ასახელებს ჩოლაყაშვილის ავანტიურას. გოგია ლლონტის ბანდის თარეშს, საშა ობოლაძის მკვლელობას საზღვარ-გარეთიდან ფულის მიღებას, შიგნით აჯანყებისათვის დაუცხრომელ სამზადისს და გარედან სამხედრო დახმარების იმედს.

ამით სრულდება 16 ივლისის საღამოს სხდომა.

---

*) გაგრძ. იხ. „კომუნისტი“-ს № 162

აბრეშუმის პარკის დამზადება

სამეგრელოს და აფხაზეთის რესპუბლიკის ყველა მაზრებში გლეხებმა უკვე დაამთავრეს აბრეშუმის პარკის მოყვანა. მოსავალი ყველგან საშუალოზე მაღალი არის. ღირსებით აბრეშუმის პარკი უმრავლეს შემთხვევაში პირველი ხარისხის არის. გლეხებმა უკვე იწყეს აბრეშუმის პარკის გასასაღებელ პუნქტებში (კოოპერატივებში) მიტანა.

ჯერჯერობით ოჩემჩირის რაიონის გლეხობას ჩაბარებული აქვს 1400 ფუთი ნედლი აბრეშუმის პარკი, გალის რაიონში—850 ფუთი, ოკუმის და ოჩიგვარას რაიონში 700 ფუთი, ოთობაევის 400 ფუთი, დრანდის და სახუმის რაიონებში—700 ფუთი. ჯერ-ჯერობით შემოსულია სულ 4000 ფუთი აბრეშუმის ნედლი პარკი.

მიმდინარე საოპერაციო წელს აფხაზეთში მოსალოდნელია სულ 9000 ფუთამდე. აბრეშუმის პარკის მოსავალი, თუ მხედველობაში მივიღებთ შარშანდელ მოსავალს, რომელიც 1000 ფუთს არ აღემატებოდა, უნდა დავასკვნათ, რომ მეაბრეშუმეობა აფხაზეთში დიდათ წაწეულია წინ.

აბრეშუმის პარკის დამზადებას წელს აფხაზეთში აწარმოებს ამ.-კავკასიის კოოპერატივთა კავშირი „ზაკსოიუზი“.

ამ ორგანიზაციის რწმუნებული კოოპერატივები გლეხებს ავანსაც აძლევენ ყოველ 1 ფუთის აბრეშუმის პარკში 15 მანეთს სესხად გაცემულ აბრეშუმის თესლის ღირებულების გამოქვითვით. დიდ უკმაყოფილებას იწვევს გლეხებში საზოგადოება „აბრეშუმისა“ „ზაკსოიუზი“-ს მიერ დაწესებულ ფასების ერთმანეთთან შეუთანაბრობა. მხოლოდ საზოგადოება „აბრეშუმი“ აფხაზეთის მეზობლად მდებარე ზუგდიდის მაზრაში პირველი ხარისხის ფუთს აბრეშუმის პარკში იძლევა 18 მანეთს. ამ ფასში შედის სესხად გაცემული აბრეშუმის თესლის ღირებულებაც. ხოლო „ზაკსოიუზს“ კი დაწესებული აქვს ერთი ფუთი აბრეშუმის პარკის მაქსიმალურ ფასად 17 მანეთი, რომელშიდაც შედის აგრეთვე სესხად გაცემული თესლის ფასიც.

ასეთი შეუსაბამობა ფასებს შორის ერთი-მეორის მახლობლად მდებარე სოფლებში, იწვევს აფხაზეთის გლეხობის უკმაყოფილებას.

საფეიქრო მრეწველობის მოსაწყობად

საქართველოს სახ. კომ. საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად პროფ. სუვოროვის ხელმძღვანელობით მუშაობა დაიწყო განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს გამორკვიოს, რამდენად შესაძლებელია ჩვენში ადგილობრივი პირობებთან შეფარდებით, საფეიქრო, კერძოთ, მაუდის მრეწველობის ორგანიზაცია. მაუდის ქარხნის ასაგები პროექტისათვის მასალების შეგროვების დროს კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ადგილობრივი მატყლის აღორძინებას, ადგილობრივ ქსოვილებს, რომლის ტიპი ხელოსნურ მრეწველობის მიერ იქმნებოდა თანდათანობით; კომისია იკვლევს აგრეთვე ნოხების და ქსოვილების დამუშავების წესს, ხელოსან მოსახლეობის შემადგენლობას და მათ კვალიფიკაციას, ყურადღებას აქცევს სამიმოსვლო გზების მდგომარეობას და აგრეთვე იმ გარემოებას, თუ რამდენად მოსახერხებელი იქნება ქარხნის სათბობი მასალით და იაფი მამოძრავებელი ძალით უზრუნველყოფა. ნაწილობრივად კომისიის მიერ უკვე დამუშავებულა ეს საკითხები და შედგენილი აქვს საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვაც.

მთავრობის განზრახვის თანახმად მაუდის ქარხანა უნდა აშენდეს იმ ანგარიშით, რომ შესძლოს წლიურად 61 ათასი ფუთი ადგილობრივი მატყლის დამუშავება, რაც დააკმაყოფილებს საქართველოს და ამიერ-კავკასიის სხვა რესპუბლიკების საჭიროებასაც.

ქარხნის ძვირფასი ნედლეულის უზრუნველსაყოფად მთავრობას განზრახვა აქვს ხელი შეუწყოს ჩვენში მერინოსის ჯიშის მეცხვარეობის განვითარებას, რაც საშუალებას მისცემს ქარხანას დაამზადოს ყველაზე უფრო სუფთა მატყლიდან კამვოლის ნაწარმოები ინგლისური წესით.

პირველი ხარისხის მატყლი მოხმარდება ნახევრად კამვოლურ ქსოვილების ნაწარმოებს და შევიოტრიკოს ტიპის მატერიების დამუშავებას, მეორე ხარისხის მატყლი გამოყენებული იქნება უხეშ მაუდის დასამზადებლად. მესამე ხარისხის მატყლი მოხმარდება ნაბდის დამზადებას ნახევრად კამვოლური წესით. დანარჩენი მატყლი გამოყენებული იქნება ნაბდების და უხეშ საბნების დასამზადებლად.

წინასწარი ანგარიშით ქარხნის ნაყოფიერება ნავარაუდევია: 2000 მეტრი დამზადებული ქსოვილი დღიურად, რაც წლიურად შეადგენს 600 მეტრზე მეტს.

წითელ არმიის მუშაკთა თათბირი

15 ივლისის სხდომა

15 ივლისს, საღამოს წითელი არმიის ფლოტის სახლის საზაფხულო თეატრში გაიხსნა ჯარის მუშაკთა თათბირი ნაციონალურ-ტერიტორიალურ ნაწილებში მუშაობის საკითხების განსახილველად. თათბირს ესწრებიან: ნაციონალურ დივიზიების პოლიტიკურ სამმართველოს უფროსები, ნაწილების კომისრები და სამხედრო სკოლების წარმომადგენლები, სამაზრო სამხედრო კომისრები და რამოდენიმე კომანდირები—სულ თათბირს ესწრება 38 დელეგატი.

პირველი სხდომა იხსნება კ. წ. დ. არმიის პოლიტსამმართველოს უფროსის ამხ. რატნეკის სიტყვით.

ამხ. რატნეკის სიტყვა.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ აქამდე მუშაობა ნაციონალურ ნაწილებში მოიკოჭლებდა. ეხლა კი უკვე ნაციონალურ ნაწილებში მუშაობა ფართე მასშტაბით სწარმოებს.

მოხსენებიდან ირკვევა რომ არ არის საკმაო პარტიული კადრი სამხ. პოლიტსკოლებში და არ მოიპოვება საკმაო ლიტერატურა ნაციონალურ ენებზე—სამხედრო დარგში.

მისასალმებელი დეპეშები

თათბირმა დაადგინა გაუგზავნოს მისასალმებელი დეპეშები ამხ. ფრუნზეს, საკავშირო პოლიტიკურ სამმართველოს და კავკასიის მე 3 დივიზიის მებრძოლებს.

დღის წესრიგი

თათბირმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) მოხსენებები ადგილებიდან, 2) ნაციონალური ნაწილების დამახასიათებელი თავისებურებანი პარტიულ ორგანიზაციების მუშაობაში, 3) სამხედრო პროპაგანდის წარმოება მოსახლეობას შორის, 4) ფორმები კ. წ. დ. არმიის პოლიტსამმართველოს მუშაობისა და დივიზიების პოლიტგანყოფილებებისა, ინფორმაცია და გამოცდილებათა აღნუსხვა, 5) ნაციონალური სამხედრო სკოლები და 6) **საგამომცემლო მუშაობა ნაციონალურ დივიზიებში და ნაციონალური მომენტი წითელი არმიის ბეჭდვითი ორგანოებში. არჩეული იქნა** 3 სექცია, რომელთაც ევალებათ დამუშავება შემდეგი საკითხების: ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა, საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა და ტერიტორიალურ ნაწილებში მუშაობა.

16 ივლისის დილის სხდომა

მოხსენებები ადგილებიდან

მომხსენებლები ადგილებიდან აღნიშნავენ დამაკმაყოფილებელ შედეგებს—1903 წ. და 1904 წლებში დაბადებულ ახალგაზრდობის წინასწარ მომზადების საქმეში და სრულიად მოწესრიგებულ სამხედრო-პოლიტიკურ სწავლებას—1902 წელში დაბადებულ ტერ-არმიელთა შორის.

მათი მოხსენებებიდან ირკვევა, რომ **1902 წელში დაბადებულთა შეკრება ტერ-ნაწილებში ჩატარებულა სრული 100 პროცენტით.**

16 ივლისის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომაზე მოხსენებებს აკეთებენ: ქართული დივიზიის სამხედრო-პოლიტიკური სკოლის უფროსი ამხ. ნადირაძე და კომისრები: აზერბეიჯანის დივიზიის 1 პოლკისა ამხ. ჯაფაროვი, სომხეთის დივიზიის ცხენოსანთა პოლკის—ამხ. ხერსესიანი და სომხეთის სამხ. სკოლის—ამხ. გრიგორიანი.

ყველა მომხსენებლები აღნიშნავენ სამხედრო-პოლიტიკურ მუშაობის გამაგრებას, წ. დ ა—ს ყველა ნაციონალურ საკადრო ნაწილებში. ირკვევა, როს ნაციონალურ, სამხედრო და სამხედრო-პოლიტიკურ სკოლებს ბევრი რამ გაუკეთებიათ მეთაურთა და პოლიტიკურ შემადგენლობის მომზადებით.

როგორც მომხსენებლები აღნიშნავენ, ნაციონალურ ნაწილების წითელ-არმიელთა შორის აქვს ადგილი დიდ სურვილს, რაც შეიძლება მეტი ცოდნა შეიძინონ ჯარში სამსახურის დროს, რათა ერთსა და იმავე დროს იქნენ კარგი მებრძოლები და კარგი საზოგადოებრივი მუშაკებიც სოფელში.

17 ივლისის დილის სხდომა

სხდომის პირველ ნაწილში გაიმართა კამათი ადგილებიდან მოხსენებების შესახებ. კამათის დამთავრების შემდეგ ამორჩეულ იქნა კომისია, ადგილებიდან მოხსენებების შესახებ რეზოლიუციის გამოსამუშავებლად.

პარტ-მუშაობა კ. წ. ა-ს ნაციონალურ ნაწილებში

ნაციონალურ ნაწილებში პარტიული მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. არტოს. პარტორგანიზაციები საქართველოს და სომხეთის ნაც. ნაწილებისა—უმთავრესად გლეხურია, ხოლო აზერბეიჯანში კი სჭარბობს მუშური ელემენტი.

ეხლა ნაც. დივიზიების პარტ-ორგანიზაციების მორიგ მიზანს შეადგენს მე-14 პარტ-კონფერენციის დადგენილებათა გატარება ცხოვრებაში.

მეორე ამოცანა კი მდგომარეობს, კვალიფიციურ პარტმუშაკების რიცხვის გამრავლებაში და უჯრედების მუშაობის თვისობრივ გაუმჯობესებაში.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათისა და ამხ. არტოს საბოლოო სიტყვის შემდეგ—სხდომა დაიხურა.

ორშაბათს, 20 ივლისს, საღამოს 6 საათზე, მოწვეულია

თბილისის საბჭოს შემდეგი სექციების მორიგი სხდომები:

1. კომუნალური . . (წითელი თეატრი)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1) მოხსენება აბანოების შესახებ.
2) „ სასაკლაოს შესახებ.
3) „ უმუშევრობის და მასთან ბრძოლის შესახებ.
4) „ საზოგადო სამუშაოებზე.
5) მიმდინარე საკითხები.

2. საფინანსო . . (ალმასკ შენ. ოთახი № 17)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1) საინფორმაციო მოხსენება საბჭოთა რესპუბლიკების საკავშირო საფინანსო თათბირის შესახებ.
2) მიმდინარე საკითხები.

3) ჯანმრთელობის . (ალმასკ. შენ. ოთახი № 57)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1) ვენეროლოგიური და ტუბერკ. დისპანსერის შესახებ.
2) ტუბერკულიოზის სამ. დღიურის ჩატარების ანგარიში თბილისში.
3) მიმდინარე საკითხები.

4. სოფლად მუშაობის და საბჭოთა აღმშენებლობის . . (ალმასკ. შენ. ოთახი № 66)

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1) მოხსენება სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისათვის შედგენილ 5 წლიანი საპერსპექტივო გეგმის შესახებ,
2) მიმდინარე საკითხები.

სექციებში ჩაწერილ ყველა საბჭოს წევრთა დასწრება სავალდებულოა აღნიშნულ დროზე.

ბ. 1506 2—1

პოლიგრაფიული მრეწველობა

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით პოლიგრაფიული მრეწველობის განვითარების მიზნით ს. მ. უ. ს. სამრეწველო-ეკონომიურ განყოფილებასთან ეწყობა პოლიგრაფიული მრეწველობის ხელისშემწყობი კომიტეტი.

კომიტეტის მთავარი დანიშნულება იქნება საერთო ღონისძიებათა გამომუშავება პოლიგრაფიულ მრეწველობის განვითარებისა და გაფართოებისათვის. კომიტეტს უფლება ენიჭება აწარმოოს პოლიგრაფიული იარაღების და მასალების ექსპორტ-იმპორტი, მისცეს სხვადასხვა ხასიათის ბეჭდვითი შეკვეთები უცხოეთში. კომიტეტს აქ ეძლევა უფლება აგრეთვე გასცეს კონცესიები პოლიგრაფიულ მრეწველობაში. კომიტეტის ერთ-ერთ ფუნქციას შეადგენს კიდევ დაამუშავოს საკითხი წინად ს. მ. უ. ს. განკარგულებაში მყოფ ამა (თუ იმ პოლიგრაფიულ წარმოებების სხვადასხვა უწყებებსა და დაწესებულებებზე გადაცემის და მიმაგრების შესახებ.

მასვე დაეკისრება თვალყური ადევნოს ამ წარმოებათა წესიერ გამოყენებას.

კომიტეტი მოვალეა აგრეთვე საერთო საკითხები პოლიგრაფიული მრეწველობის ზოგიერთი წარმოების დენაციონალიზაციის შესახებ, დაამუშაოს პოლიგრაფიული მრეწველობის ნაწარმოებთა კალკულიაციის საერთო მეთოდები და პოლიგრაფიული მრეწველობის ნაკეთების დამუშავების საერთო ნორმები.

კომიტეტის ერთ-ერთი ამოცანა იქნება აგრეთვე ღონისძიებათა გამომუშავება ბეჭდვითი საქმის ტეხნიკის გაუმჯობესებისა და ამაღლებისათვის, ღონისძიებათა გამომუშავება და ზრუნვა პოლიგრაფიული წარმოებათა კონცენტრაციისათვის. კომიტეტმა უნდა იკისროს აგრეთვე პოლიგრაფიულ წარმოებათა აღრიცხვის ჩატარება.

ცალკე უწყებები და დაწესებულებანი, რომელთა უწყების ქვეშაც იმყოფებიან პოლიგრაფიული წარმოებანი, მოვალენი არიან ყოველგვარი საკითხის გამოსარკვევათ მიმართონ ზემოხსენებულ კომიტეტს.

ქრონიკა

— პოლიგრაფტრესტის სკოლის მოწაფეთა ექსკურსიის მოსაწყობად მოსკოვში, პოლიგრაფტრესტმა გადასდო 1925 მან.

— **საქსოვ-საკერავი ქარხანა.** მიწად-მოქ. კომისარიატის შინა-მრეწველობის განყოფილებამ მცხეთაში გახსნა საქსოვ-საკერავი ქარხანა.

— **ხალიჩების საქსოვი ქარხანა.** მიწად-მოქ. კომისარიატის შინა-მრეწველობის განყოფილებამ გორში მოაწყო ხალიჩების საქსოვი ქარხანა.

— **დახმარება ავადმყოფებს.** 15 ივლისიდან თბ. დამზღვევ კასამ დაიწყო სავადმყოფოებში მწოლიარე დაზღვეულ ავადმყოფებზე დახმარების გაცემა: უცოლოებს მიეცემათ ჯამაგირის ნახევარი, ცოლიანებს—ოთხი მეხუთედი ჯამაგირისა.

— **დაზღვეულთა რაოდენობა** ივლისის 1-ლისათვის თბილისში აღწევდა 37.541 კაცს, მათ შორის სახელმწიფო **ხარჯით** აღრიცხვაზეა—20,349 კაცი, სამეურნეო ხარჯზე მყოფ დაწესებულებებში **კი** მუშაობს 7,358 კაცი.

— **ჯანსახკომის** დედათა და ბავშვთა დაცვის განყოფილება **ახლო** ხანში შეუდგება პიონერების ჯანმრთელობის გამოკვლევას.

— **აბრეშუმის საფეიქრო ქარხანა.** მიწად-მოქ. კომისარიატის შინა-მრეწველობის განყოფილებამ ოზურგეთში გახსნა აბრეშუმის საფეიქრო ქარხანა.

— **ვერმორელის სისტემის** მანქანები რომელიც მიიღო წარმოკავშირმა ამ დღეებში, ეხლა ნაწილდება სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობებს შორის.

— ქ. წყალსადენს ივნისში შემოუვიდა 71,287 მან. 37 კ.

— **ტრამვაი.** გასულ თვეში ქალაქის ყველა ხაზებზე მუშაობდა ტრამვაის 105 ვაგონი.

— **ტრამვაი** ივნისში გადაიყვანა 3,049,985 მგზავრი, თითქმის 1 მილიონით მეტი გასული წლის ივნისთან შედარებით.

— **უბედური შემთხვევები.** ივნისის განმავლობაში თბ. წარმოებებში ადგილი ჰქონდა 45 უბედურ შემთხვევას, რის გამო დაზარალებულ მუშების მიერ გაცდენილი იქნა **717** დღე.

— **მეგაზეთეთა ჯანმრთელობა.** ჯანსახკომმა დაამთავრა თბ. გაზეთების ექსპედიციების მუშაკთა ჯანმრთელობის გამოკვლევა. გადამდები სნეულებანი მათ შორის არ აღმოჩნდა.

— **წარმოკავშირმა** შეიძინა 15000 ფ. შაბიამანი და 5 ათასი ფ. გოგირდი, რომლებიც განაწილებული იქნება მის ქვე-მდებარე დაწესებულებებს შორის გლეხებისათვის მისაწოდებლად.

— **რადიო-სადგურების** სოფლად მოწყობის შესახებ შეტანილი განცხადებები განთავისუფლებულია საღერბო გადასახადისაგან სხვა შეღავათებთან ერთად.

— **მეხილე-მეღვინეთა კავშირი** წელს შეაგროვებს 300,000 ფ. სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებს, რომლის ნაწილი გატანილი იქნება საზღვარგარეთ.

— **წყლის მიწოდება.** გასული თვის განმავლობაში ავჭალის წყალსადენმა ქალაქს მიაწოდა 38,446,050 ვედრო წყალი.

ხელოვნება

— **ვანო სარაჯიშვილის** სახელობის კლუბში მოეწყო კინო და ფიზკულტურის წრე ხელოვნების მუშაკთათვის.

— **კვიატკოვსკის გასტროლები** თბილისში ჩამოვიდა ცნობილი ბალეტმეისტერი კვიატკოვსკი თავის ბალეტით, რომელიც თბილისს და საქართველოს სხვა ადგილებში გამართავს საბალეტო წარმოდგენებს.

— **ახალი პიესები.** მთავლიტმა ნება დართო შემდეგი ახალი პიესების დასადგმელად ს. წერეთელს „მზე“ და „ადამიანმა გაიღვიძა“.

— **ხელოვნების მუშაკთა კავშირი** კვირას, 19 ივლისს თავის კლუბში გამართავს დიდ კონცერტს სახ. ოპერის მსახიობების მონაწილეობით.

— **სიმების ქარხანა.** თბილისში ახლო ხანში გაიხსნება სიმების დასამზადებელი ქარხანა სხვადასხვა საკრავებისათვის.

— **ქართული ჭიდაობა.** კვირას, 19 ივლისს ძმ. ტანტების ცირკში, ლადო კავსაძის ხელმძღვანელობით გაიმართება საქართველოს სხვადასხვა კუთხის ძველი ჭიდაობები.

დღეს

— **ვანო სარაჯიშვილის სახელობის ხელოვნების სახლი.** ლექცია საერთაშორისო ენის „ექსპერანტოს“ შესახებ. ლექტორი ლინგელსი.

— **განათლების მუშაკთა კლუბი.** დღეს კინო სურათი „ცხოვრების ნაბტომში“.

შემთხვევები

— **ჯიბგირის შეპყრობა.** 15 ივლისს დილით შეიპყრეს გუმეტ მამედ-ოღლი რომელმაც ა. ხუტელოვს ჯიბიდან ამოაცალა ფული.

— **ცეცხლი.** 15 ივლისს, საღამოს კირკის შესახვევი 7 ს. ქართველიშვილის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლისმქრობელ რაზმმა.

— **ქურდების შეპყრობა.** 16 ივლისს სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ორი უცნობი ქურდი, რომლებსაც თან ამოაჩნდათ ტომარა ნაქურდალი ნივთები.

— **ქურდობა.** ქსნიევის ქ. № 4 გაქურდეს კულდუნოვის ბინა.

— **შეპყრობა.** 16 ივლისს პლეხ. პრ. 166 თვითმშრომელთა კლუბის კანტორიდან მოიპარეს ტყავი და ელექტრონის შუშები. ქურდი ე. კარაკოზოვი შეიპყრეს.

— **ძაღლის მოპარვა.** ელისაბედის ქ. № 155 16 ივლისს, ე. სტეფანოვს მოპარეს მონადირე ძაღლი.

— **საზოგადოებრივი** მყუდროების დარღვევისათვის მილიციამ შეიპყრო გურგენიძე სამსონ, კუცენკო გიორგი, ფარხადა[illegible]ნოვი ალექსანდრე და მარტიროსოვი გარ[illegible]თან.

პარტიული ცხოვრება

პარტ. მუშაობის გაძლიერებისათვის ფოთში

ა. წ. 14 ივლისს შესდგა ქ. ფოთის პარტკომის აგიტ-კოლეგიის სხდომა, რომლის დადგენილებით ამ დღეებში ქ. ფოთში ეწყობა კომუჯრედების და რემედასის მდივანთა გადასამზადებელი კურსები, რისთვისაც მოწვეულია ხსენებულ მდივანთა კრებები სასწრაფოთ პროგრამის და სწავლის წესის გასაცნობათ.

ქ. ფოთის პირველი საფეხურის პარტსკოლის, ცენტრალურ პარტსკოლის და უმაღლეს სასწავლებლებისათვის კურსანტების შესარჩევათ აგიტ-კოლეგია შეუდგა უკვე სამზადისს კამპანიის ჩასატარებლათ, რათა აღნიშნულ სასწავლებლებში მოხვდენ აქტიური და ენერგიული პარტ-ამხანაგები.

პარტიულ კომიტეტს ეთხოვა, რათა პარტსკოლას მუშაობის გასაფართოებლად დაეთმოს სახელოსნო სასწავლებლის ყოფილი ბინა, რომელიც ეხლა თავისუფალია, და მასთან მეორე ბინაც, რომელშიდაც ცხოვრობენ აღნიშნულ სკოლის მასწავლებლები. აგრეთვე პარტიულ კომიტეტს ეთხოვა, რათა აღძრას შუამდგომლობა ს. კ. პ. ც. კ. წინაშე, რომ ოზურგეთის მაზრის პარტსკოლის დაშლის გამო აღნიშნულ მაზრიდან კურსანტები წარმოგზავნილ იქნენ ქ. ფოთის პარტიულ სკოლაში, რადგან ქ. ფოთის პარტსკოლაში წელს მუშაობა თავის სიმაღლეზე იდგა და მომავალისათვის კიდევ გაუმჯობესდება და მეორეთ, ოზურგეთის მაზრა ტერიტორიალურათ [illegible]ის დაკავშირებული ფოთთან.

ამ დღეებში, თანახმად აგიტ-კოლეგიის დადგენილებისა, იქნება მოწვეული კლუბების წევრთა წარმომადგენლების კონფერენცია, სადაც გაეცნობიან საზაფხულოთ კლუბებში და ლენინის კუთხეებში მუშაობის გეგმას. აგიტ-კოლეგიის მიერ იქნა გამოყოფილი კომისია, რომელსაც დაევალა ლენინის კუთხეების და ქოხ-სამკითხველოების დათვალიერება და მათი უარყოფითი მხარეების აღნიშვნა, ხოლო შემდეგისათვის იქნა შემოღებული სისტემატიურათ ქოხ-სამკითხველოს გამგეების მიერ მოხსენებების გაკეთება აგიტ-კოლეგიის სხდომებზე, რაც საშუალებას მისცემს აგიტ-კოლეგიას მიუთითოს უარყოფით მხარეებზე მათ მუშაობაში.

ტ. ბე—ლი.

სოფ. დიღმის კომუჯრედში

ზემოხსენებულ უჯრედში კრებები იმართება ყოველ პარასკეობით; უჯრედში ირიცხება სამი კომუნისტი და ხუთი კანდიდატი. კრებებზე ესწრებიან კომკავშირელები და უპარტიო ახალგაზრდებიც, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხების გარჩევაში. უჯრედს აქვს განზრახული გამოსცეს ყოველთვიური კედლის გაზეთი. უჯრედს უწევს ხელმძღვანელობას ამხ. ერვანდ თოფჩიშვილი, რომელიც ენერგიით სავსე და საქმის მოყვარეა. კომუჯრედის მუშაობა საერთოდ დამაკმაყოფილებელია, მხოლოდ საჭიროა დაარსდეს პოლიტწრე და გამოიგზავნოს ამისათვის მომზადებული ლექტორი.

დ. მ—შვილი.

ახალგაზრდა ლენინელთა გვარდია

საქ. სტატ- ცენტრ. სამმართველოსთან არსებულ კ. კ. უჯრედი

მას შემდეგ, რაც ახალი ბიურო იქნა არჩეული, ჩვენი უჯრედის მუშაობა სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ. კომუჯრედთან გაბმულია მტკიცე კავშირი. იდეურ ხელმძღვანელობას გვიწევს კომუჯრედიდან გამოყოფილი ამხანაგი თალაკვაძე, რომელიც სისტემატიურად ჩვენთან იმყოფება.

უჯრედის ბიუროს მუშაობა მიმართულია სათადარიგო წევრთა გააქტივისტებაზე. უჯრედში იმართება მთელი რიგი მოხსენებებისა, რომელიც იწვევს ცხოველ კამათს. ჩვენთან მომაგრებული არიან ქართული წ. ჯარის ნაწილებიდან წით.არმიელები. პიონერთა ორგანიზაციიდან მიღებული იქნენ ჩვენთან მათი აქტიური წევრები. ჩვ. უჯრედმა რამოდენიმე აქტიური წევრი გადასცა კომპარტიას. დაწესებულებასთან არსებულ კედლის გაზეთში აქტიური მონაწილეობას იღებენ ჩ. კავშირის უჯრედის წევრები, სადაც შუქდება საყურადღებო საკითხები. გვყავს ახალგაზრდა უპარტიო ქალთა შორის მომუშავე ორგანიზატორი, რომელიც დაკავშირებულია კომუჯრედის ქალთა შორის მომუშავე ორგანიზატორთან. ჩვენი უჯრედის გავლენა უპარტიო ახალგაზრდობაზე დიდია; მათი წრიდან იქნენ რამოდენიმე ამხანაგები მიღებული საერთო წესით ჩვენს რიგებში.

ჩვენი უჯრედი მუშური უჯრედი არის. უსურვოთ ჩვენს ახლად არჩეულ ბიუროს ნაყოფიერი მუშაობა.

ჩოლირონ.

მუშათა ცხოვრება

მოგვაშორეთ ეს მოღალატე „ველიკოდერჟავნიკები“

(პროკურატურის და „დ.-ტ.-ჩეკას“ საყურადღებოდ)

15 ივლისს მთავ. სახელოსნოს სახარატო ცეხში ჰქონდა ასეთ მოვლენას ადგილი: ცეხის გამგის თანაშემწეს ბ-ნ მიხეილ კუჩერენკოს მუშამ ახმაიპარაშვილმა ქართულად დაწერილი განცხადება მისცა ხელის მოსაწერად. მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნ კუჩერენკომ კარგად იცის ქართული წერა-კითხვა (თბილისშია გაზრდილი), მუშას გაურისხეიანდა რუსულად: „Я дикарского языка не понимаю; пиши на русском языке“—ო. განა ისეთი მოპყრობა დასაშვებია? რკინის გზის სახელოსნოები და დაწესებულებები რიგიანად უნდა გაიწმინდოს. უნდა გამოკვლეულ იქნეს იქაურ მოსამსახურეთა წარსული, განსაკუთრებით ძველების და მაშინ გავიგებთ, თუ ვინა გვყავს ამ ადგილებში დაბუდებული. ეს „ველიკოდერჟავნიკები“ რკინის ცოცხით უნდა ავპარკოთ აქედან და პასუხისგებაში მივცეთ. ძველი.

უპატრონო ბავშვს უშველეთ

(მთავ. მილიციის საყურადღებოდ)

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც გოგოლის ქუჩაზე სახლი № 18-ის მეზობლებს რაღაცა ბურ-ხური ესმოდათ. თურმე ვიღაცას ამავე აღნიშნულ სახლის ეზოში ჩუმად შემოუგდია ბავშვი, რომელიც იქნებოდა დაახლოებით სამი თვისა. მისი შენახვა იკისრა მოქ. მარიამ ხუციშვილმა. მაგრამ თვით ამხ. მარიამი განიცდის სიღარიბეს. მას არ მოეპოვება ისეთი სახსარი, რომ ბავშს მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება: ბავშს კი ესაჭიროება როგორც უსუსურს, რძით კვება და მოვლა-სისუფთავე, მარიამი კი ყველა ამეზე მოკლებულია. ბავშს კვებავს ჯამში არეული სიმინდის ფქვილით და ღვინის წყლით. საბრალო ბავშვი დასუსტდა, და ავადმყოფობს. საჭიროა მიექცეს ამას ჯეროვანი ყურადღება და იქნეს მოთავსებული უპატრონო ბავშვი სადმე თავშესაფარში. გ. გარაყანიძე.

ენერგიული მომუშავე უნდა დავაფასოთ

(შრომის კომისარიატის და უზკავშ. საყურადღებოდ)

თბილისის საქონლის სადგურის ადგილკომის მიერ 1924 წ. 1 ივლისიდან იქნა მოწვეული ადგილკომის ტექნიკური მდივანი ამხ. მიშა სიხარულიძე. [illegible] არსებულ რიცხვამდის, ადგილკომში ყოველგვარი ტექ. სამუშაო მოუწესრიგებელი და მოუგვარებელი იყო. ამხ. მიშასი ენერგიული და დაუღალავი ენერგიის წყალობით, რომელიც რამოდენიმე თვე ადგილკომის შენობაში ათევდა ღამეს გამოასწორა, ეს თავ-ბოლო არეული საქმეები მან დააყენა სწორ ხაზზე. ასეთ თავდადებულ შრომაში, თავის ზედმეტ ნამუშევარში მას მიეცა მხოლოდ 1924 წ. 1 ივლისიდან 1925 წ. 1 იანვრამდის, მხოლოდ 52 მანეთი. საქმეები თან და თან რთულდება, კავშირის წევრების რიცხვიც გაიზარდა, და სცნეს საჭიროთ ერთი ამხანაგის მომატება. ეს იქნა მხოლოდ სისრულეში მოყვანილი 1925 წ. 5 თებერვლიდან. საჭიროა ამხ. სიხარულიძეს შრომა ღირსეულად დაუფასდეს. ადგილობრივი მუშა.

ეს ადგილი უნდა გასუფთავდეს.

(მე-6 და მე-7-ე შეერთებულ უბნის, სანიტ. გან. საყურად.)

მე-6-ე და მე-7-ე შეერთებულ უბანში, ალავერდის და წინანდლის ქუჩის კუთხესთან, ბაღებს შუა ორღობებთან არის ძალიან ჭუჭყიანი, ნაგვით სავსე ადგილი, ამ სიცხე-პაპანაქებაში, ამ ჭუჭყიან ნაგავის გამო შეიძლება ავადმყოფობაც გაჩნდეს. იქ მოსიარულე ხალხს ვერ გაუვლება.

საჭიროა ამას მიექცეს სასწრაფო ყურადღება.

მუშკორი ალ. ბ—ლი.

უსამართლოდ დამსაჯეს

(საბჭოთა ეტლების ტრესტის საყურადღებოდ)

მე მთელი ერთი წელიწადი ვმუშაობდი მუშკოპის ტრანსპორტზე ფაიტონზედ. ამ წელს მაისის პირველში, ყოველივე მიზეზის გარეშე, ჩემდა მოულოდნელად დამითხოვეს; არავითარი წინადადება არ მოუცია ჩემთვის ადგილკომს, პირდაპირ გამომიცხადა უეცრათ, რომ მე დათხოვნილი ვარ; არავითარი სალიკვიდაციო ჯილდო არ მომცეს და გამიშვეს სულ მთლათ ულუკმა-პუროთ;

მთელი წლის განმავლობაში არაფერი ტანისამოსი არ მიმიღია; ვმუშაობდი ჩემი ტანისამოსით, რომელიც იქ მუშაობაში გავცვითე. უნდა მიმეღო ან „ბუშლაკი“ ან და „შინელი“. უფროსი, ცხენების მომვლელი, ღამის 12 საათზე ითვრება ავლაბარში; მიდის, ჰკაზმავს სახელმწიფო „ოროლა“ ცხენს და და აჯენებს მუშტაიდისაკენ.

ყოველ დილით, საათის ექვსზედ ამხ. ასტვაცატუროვთან მიდიოდა შებმული ფაიტონი, რომელიც მას სრულიათ არ ეკუთვნოდა, არც ამისი ყურისმგდებელი და კონტროლი იყო ვინმე.

კავშ. წევრი ყაზაროვი.

მუშათა ქრონიკა

(რკინის გზელთა ცხოვრებიდან)

— **მატარებელი მოწაფეთათვის.** სად. ყარაიაზის მუშა-მოსამსახურებმა მიმართეს საუზნო პროფკავშირს, რათა მან იშუამდგომლოს რკ. გზ. სამმართველოს წინაშე, რათა დაინიშნოს მატარებელი რკინის-გზელთა შვილებისათვის.

— **ლექციები მუშა-ქალებისათვის.** ამხ. ლენინის სახ. სალიანდაგო სამსახურის მე-6 უბნის ადგილკომმა დაადგინა კვირაში ერთხელ მოიწვიოს ქალთა საერთო კრება და მოაწყოს მათთვის ლექციები.

— **საყვედური მემანქანეს.** ამხ. ლენინის სახელობის სალიანდაგო სამსახურის მე-6 უბნის ადგილკომმა საყვედური გამოუცხადა მემანქანე სტრელკოვს, რომელიც პირად საჭიროებისათვის იყენებდა გამხურებლების შრომას.

— **იუბილე.** რკ. გზ. პროფკავშირების კურსების მსმენელებმა დაადგინეს 14 ივლისს გადაუხადონ იუბილე კურსების გამგეს ამხ. გიორგი ჩიხლაძეს 15 წლის რკინის გზაზე მოღვაწეობის აღსანიშნავად.

— **უზრდელი მოლარე.** სად. ნავთლუღის ადგილკომმა მიმართა თბილისის საუზნო პროფკავშირს, რათა მოხსნას თანამდებობიდან საქონლის სადგურის მოლარე გეთიაშვილი, რომელიც უზრდელად ეპყრობა მუშებს.

ქუთაისი

მსურს მკითხველის გულის ყური მივაპყრო ქუთაისის სამთო უბნებს, **საფირჩხიას,** და **მწვანეყვავილას,**— ამ ქალაქის საუკეთესო ნაწილს თავის მდებარეობით, მაგრამ დღემდე ღვთის ანაბრად მიტოვებულს. ორივე უბანი დასახლებულია სოფლებიდან ჩამოსულ მშრომელი ხალხით.

ამ ვრცელ უბნებს მწვანეყვავილას და საფირჩხიას დღემდე არა აქვთ არც რიგიანი ქუჩები, არც წყალი და არც სასკოლო ბინები და მათი შესაფერი ეზოები. თითო ოთხწლედიანი სკოლაა ამ ორ უბანში და როგორც ბავშვები, ისე მასწავლებელნი განიცდიან დიდ შევიწროებას, რადგან არ მოეპოვებათ არც საჭირო ოთახების რაოდენობა, არც სავარჯიშო და სათამაშო ეზოები. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შედარებით მცირე საფასით შეიძლება ამ უბნებში საუკეთესო ალაგას შექნილ იქნას სასკოლო შენობები საჭირო დიდი ეზოებით.

დიდ გაჭირვებაში აყენებს მეტადრე საფირჩხიის მცხოვრებთ, უწყლობა ერთი მხრივ მდ. რიონის სიშორე, მეორეს მხრივ ამ უბნის ეზოების სასულეები, რაც არ აძლევენ საშუალებას ჰების გასათხრელად. იქაურ მცხოვრებთ, აყენებენ საშინელ მდგომარეობაში და იძულებულს ხდიან აზიდვიონ აღმართ-დაღმართზე ზურგით წყალი ხშირად 1 ნახ. 2 ვერსის მანძილიდან.

5—6000 მცხოვრებთა ასეთი მუდმივი წამება ადვილად შეიძლება მოსპობილ იქნას იქვე 2 ვერსის მანძილზე მყოფ მარასკეთის წყაროსთან აუზის გაკეთებით და წყლის მილების გამოყვანით საფირჩხიის რამდენიმე ნაწილში. ეს ფრიად მნიშვნელოვანი საქმე დაჯდება მხოლოდ 200 ან 300 ჩერვონეცი, რადგან მიწების მუშაობას სიამოვნებით იკისრებენ უფასოდ თვით ადგილობრივი მცხოვრებნი, მილებს კი დაუთმობდა ან უფასოდ ან მეტად შეღავათიან პირობებით თბილ. აღმასკომი. მივაქცევ ამ გარემოებაზე ქუთ. მაზრის და ქალაქის მესვეურთა ყურადღებას.

მოკეთე.

წერილებიდან

კოკის თემი (ზუგდ. მაზრ.). ჩვენი თემის აღმასკომის მუშაობა მოიკოჭლებდა. აღმასკომის საქმიანობაში, მისი გამოუცდელობის თუ სხვა მიზეზების გამო, მრავალ შეცდომებს ჰქონდა ადგილი. მაზრიდან ინსტრუქტორიც არ სჩანდა, რომ მიეცა აღმასკომისთვის საჭირო დარიგება.

12 ივლისს ჩამოვიდენ სამაზრო აღმასკომის რწმუნებულნი და სამ. პარტკომის მდივანი. გაეცნენ საქმეთა ვითარებას. ყველა საკითხებს მიუდგენ როგორც ეს საჭირო იყო. მოხდა აღმასკომის ხელ-ახალი არჩევნები. სასიამოვნოა, რომ აღმასკომის წევრად გავიდა მასწავლებელი აკ. ცხაკაია—პატიოსანი პიროვნება. იმედია, ახალი აღმასკომი გამოიჩენს მუშაობის მეტ უნარს და დაიცავს მშრომელ გლეხობის ინტერესს.

ი. დ.

სოფ. ტბა. (წალერის თემი). ჩვენი სოფლის გლეხობა მიწის ჭუკიდურეს სივიწროვეს განიცდის. წრეულს სეტყვამ სრულიად მოსპო ისედაც მცირე მოსავალი; ზამთარში სიმშილი მოგველის, იმედი გვაქვს რომ მთავრობა დაგვეხმარება და გამოგვიყვანს მძიმე მდგომარეობიდან.

დ. მახათაძე.

ს. ახუთი (ზუგდ. მაზ.), ჩვენი სოფლის აფთიაქის პროვიზორი ვ. გობეჩია [illegible] ასრულებს თავის მოვალეობას. აფთიაქი ხშირად გამოკეტილია. გობეჩია კი თავისი „ქალბატონით“ სხვაგან დასეირნობს სამუშაო დროს. რად გვინდა ასეთი პროვიზორი?

ისლამი პერტაია.

ხაშური. ხაშურის აღმასკომს მოუწვევია ბუხჰალტრად ვინმე ახალბედაშვილი, რომელიც კარგ სასყიდელს იღებს. ამ „ბუხჰალტერს“ საქმე სრულებით არ გაეგება. აღმასკომს, სხვათა შორის, აქვს სახერხი ქარხანა და ელსადენი. „ბუხჰალტერი“ არწმუნებდა აღმასკომს, რომ ეს წამოწყებები ზარალს იძლევიან და იჯარით უნდა გვესცეთო. ნამდვილად კი ისინი, როგორც გამოირკვა, მოგებას სტოვებდენ. მაგრამ ახალბედაშვილს ისე ჰქონდა არეული ანგარიშწარმოება, რომ „ძაღლი პატრონს ვერ სცნობდა“ და შედეგად ყოველთვის ზარალი გამოუდიოდა. ასეთ ვაი-ბუხჰალტერებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ დაწესებულებებში.

ფ. სირაძე.

ქ. სიღნაღი. 12 ივლისს ს. ბოდბისხევში საქეიფოდ გაემგზავრენ სიღნაღის სტატბიუროს გამგე ყაჭეიშვილი და სამგაზნანის თანამშრომელი მიტო ფელიაშვილი. ორივენი ძალზე დათვრენ და დაიწყეს სოფელში ცხენების უგზო-უკვლო ჭენება (პირველს ჰყავდა წაყვანილი აღმასკომის ცხენი). გლეხი ქალები შიშით მიიმალენ სახლებში, რომ მათთვის ცხენები არ დაეჯახებინათ. მეორე დღეს სიღნაღშიც ასევე დათარეშობდნენ ეს ვაჟბატონები. ამასთან ამბობდენ უცენზურო სიტყვებს და ქალებს შეურაცხყოფას აყენებდენ. საჭიროა მათი ალაგმვა.

გ. ლასცადელისპირელი.

ბაღდათის თემი (ქუთ. მაზ.). ჩვენი თემის გლეხობა მისდევს უმთავრესად მევენახეობას. ღვინის მოსავალი კარგი იცის. წელსაც კარგი პირი უჩანს. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ ღვინის ფასი ამხანად ძალიან დაეცა. სამაგიეროდ სიმინდის ფასმა საგრძნობლად მოიმატა. გლეხობა ღვინის საფასურად ყიდულობდა როგორც სიმინდს, ისე სხვა საჭირო საქონელს. დღეს იგი მძიმე მდგომარეობაშია ჩავარდნილი. საჭიროა ზომების მიღება, რათა გლეხმა ღვინო გასაღოს ხელსაყრელ ფასებში.

ვ. გიგემიძე.

სოფლის ქრონიკა

— **გაცდენილი დღეები.** ქუთაისის დამზღვევ სალაროს ცნობით ივნისის განმავლობაში ავადმყოფობის გამო სამუშაოზე გამცდარა 181 დაზღ. მუშა-მოსამსახურე, სულ გაუცდენიათ 4062 დღე.

— **მშობიარეებზე** დახმარების სახით ქუთ. დამზღვევ კასამ გასცა 1914 მანეთი.

— **რაჭაში** შესდგა მეურნე გლეხების ნადი, რომელსაც ხელმძღვანელობს სამაზრო გლეხკომი.

— **უმუშევარ დაზღვეულებს** ქუთაისის დამზღვევ სალარომ ივნისში დახმარების სახით მისცა 450 მან.

— **სასამართლოს დაახლოება სოფელთან.** გორის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა სურამის სახ. სასამართლო გადაიტანოს სოფ. ყაჭაში, როგორც უფრო დ. სამხრის ადგილზე სხვა სოფლებისათვის.

— **გორის** აღმასკომმა ფიზკულტურის მოედნის მოსაწყობათ გადასდო 300 მან.

— **სიღნაღის** აღმასკომმა მაზრაში ჯანმრთელობის დაცვის მიზნით შეადგინა სამეული.

— **დროებით შრომის უნარ** მოკლებულებს ქუთაისის დამზღვევ სალარომ ივნისში მისცა 5465 მან.

სოფლის ფოსტა

„ცივისპირელ ზეინკალს“. საჭიროა ვიცოდეთ თქვენი ვინაობა; უამისოდ კორესპონდენცია არ დაიბეჭდება.

სოფელი

რა აწუხებს ჩვენს გლეხობას

ს. ჯვარცმა (ოზურგეთის მაზრა)

ჩვენი თემის ნიადაგი მეტად მწირია. მისი მოსავალით, გლეხკაცობას 3—4 თვითაც ვერ იკმაყოფილებს თავის მოთხოვნილებას სურსათ-სანოვაგის მხრივ. ეს გარემოება აიძულებს მცხოვრებლებს მიაშურონ ქალაქს, სადაც მათი დიდი უმრავლესობა თვეობით უადგილოთ დაეხეტება. ეს კიდევ მეტად აუარესებს თემის ეკონომიურ მდგომარეობას.

გლეხკაცობამ არ იცის რა საშუალებით დაალწიოს თავი ასეთ ხვედრს. ეხლა ბაზარზე ფ. სიმინდი 3 მ. ფასობს. რა ქნას იმ გლეხმა, რომელმაც თვეში 10—15 ფ. სიმინდი უნდა იყიდოს. წრეულს სოფლად სიმშილობაა და ცხადია, საჭიროა სასწრაფო დახმარება.

თემის საბჭომ ითხოვა დახმარება (სესხის სახით) სამაზრო კომიტეტიდან, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი სჩანს.

არის კიდევ მეორე ნაკლი, რომელსაც უნდა მიექცეს ყურადღება. ჯერ არის და გლეხობა სიმინდს ვერ შოულობს უსასრობის გამო და თუ იშოვნა ისიც ვერ დაუფქვავს. ამ თემის მახლობლად მდ. სუფსაზე არის ყ. ვარლამ ერისთავის წისქვილი (ჩვენს თემში წისქვილი არ გვაქვს), რომელსაც ეხლა პატრონობენ ტყეშელიძეები და დევიძეები. მათი შეუთანხმებლობით ეს წისქვილი მუდამ გაუკეთებელი რჩება, რის გამოც ხალხი იძულებული ხდება გავიდეს მდინარეს გაღმა წისქვილზე, წელამდე წყალში. თუ წყალი იდიდა (რაც ხშირი მოვლენაა), ხომ სულ ხელ-ცარიელნი უნდა დარჩენ. მასთან შეიძლება რომელიმე გლეხი კიდევაც შეეწიროს სიმინდის დაფქვას. წისქვილის საკითხის მოგვარება გლეხობისათვის აუცილებლობას წარმოადგენს. გლეხობა მოითხოვს—თუ წისქვილს არ გააკეთებენ მეპატრონეები, ჩამოერთვას მათ. საჭიროა მიეცეს წინადადება მეპატრონეებს განსაზღვრულ ვადაში გააკეთონ წისქვილი, წინააღმდეგ შემთხვევაში იქნას ჩამორთმეული.

ხალხის მოკეთე.

ხაშურის ბაზრობა

გორის მაზრის თითქმის ნახევარზე მეტი მოსახლეობა ეკონომიურად დამოკიდებულია ხაშურის ბაზარზე. ბაზრობა ეწყობა კვირაში ორჯელ, პარასკევს და კვირას. ამ დღეებისათვის სპეკულიანტებს მოაქვთ ღვინოები და იარმუკის ახლოს ეზოებში ვაჭრობენ ღვინით. გლეხებს, რომლებსაც მოაქვთ თავისი ნაწარმოები გასასყიდათ აღებული ფული იქვე ეხარჯებათ. მთელი დღე არის ქეიფობა და შემდეგ მთვრალი ხალხი აქვე იძინებს ეზოში. ჯიბგირებს საშუალება ეძლევათ უფრო კარგად ინადირონ მძინარე ხალხზე. უკანასკნელი გროში თუ დარჩათ ჯიბეში, იმასაც აცლიან და სრულიად გაუბედურებულები მიდიან სახლში. შეიძლება ვინმემ იფიქროს,—ეზოებში რომ არ იყიდებოდეს ღვინოები, სამიკიტნოს ვერ ასცდებიანო. მართალია, ღვინის დუქანსაც კი მიაგნებენ, მაგრამ იქ ჯიბიდან ფულს მაინც არ ამოართმევენო. საჭიროა აღმასკომმა ამას მიაქციოს ყურადღება და ბაზრობა მოაწესრიგოს გლეხობის საკეთილდღეოთ.

ქ. მეხხიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

დღეს, 18 ივლისს, დილის 10 საათზე, თ. კ. სამდივნოში მოწვეულია

თ. კ. პრეზიდიუმის სხდომა

დასწრება სავალდებულოა პრეზიდიუმის ყველა წევრებისა და კანდიდატებისათვის.

თ. კ. მდივანი მიხ. კახიანი.

თ. კ. აღრიცხვ.-განაწ. განყოფილება წინადადებას აძლევს, დღეს, 18 ივლისს ამხ. კვირიკაძესთან გამოცხადდენ შემდეგი ამხანაგები: ი. ბელკანია, გ. ფანცულაია, ე. ხუხუნი, ნ. ცინცაძე, მ. ცაგარეიშვილი, გ. ჩხეიძე.

ავიაქიმიის მეორე რაისაბჭო იუწყება: დღეს, 18 ივლისს, საღამოს 7 საათზე ცენტრ. მუშ. კლუბში (ლენინის კუთხე) შესდგება რაისაბჭოს სხდომა ავიაქიმიის უჯრედების მდივნებთან ერთად.

დასწრება სავალდებულოა საბჭოს ყველა წევრებისა და უჯრედების მდივნებისათვის.

რაისაბჭო.

განცხადებები

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე გვეგვე (გიორგი), შვილები: ხუტუნია და დაგმარა სვანიძეები, დედა ნატალია, ძმა ირაკლი გვიჩია, და დუნია ლორიასი, რძალი ოლია, ძმისშვილები მარგალიტა და გივი გვიჩიები, დის შვილი ცაცა ბიკოვი, მამამთილი მელიტონი, დედამთილი მატრონა და მული აგრაფინა სვანიძეები, სიძე გედევანი, დის შვილები, პატული და ფატუ ლორიები, უზომო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებთ

მაცულია (პარასკევა) ჰარამანის ასული

სვანიძის

უდროვოდ გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდება ფოთში კვირას, 19 ივლისს, ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება—იმერეთის ქუჩა, საკუთარი სახლი № 56.

1—1 ნ. 1505

დაობლებული და ღრმად დამწუხრებული მარო და ლევან პრაკოფაშვილები აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 16 ივლისს უდროოდ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი პატარა ქალი

ციცინათელა

პრაკოფაშვილი

დაკრძალვა დღეს, 18 ივლისს, საღამოს 5 საათზე, ვერის სასაფლაოზე გამოსვენება საკუთარ ბინიდან (ტრიბუნალის ქ. 43). 2022

1—1

ძვირფასი და დაუვიწყარ

ივანე თეოფანეს ძის ჩიჯავაძის

გარდაცვალებიდან მე 40 დღეს—კვირას 19 ივლისს, ქაშვეთის ეკლესიაში საღამოს 7 საათზე, დანიშნულია პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს განსვენებულის ქვრივი თამარ ჩიჯავაძისა, შვილები—რუსუდან, შოთა და ოთარ დები: ბარბარე კობიაშვილისა, ნინო გაგუასა, ელენე ჩიჯავაძე და მები—დეკანოზი იოსები და დიმიტრი.

№ 2010 1—1

თბილისის პასტერის სადგურის მოსამსახურენი ღრმა მწუხარებით იუწყებიან სადგურის თანამშრომელ ექიმის თანაშემწე-პრეპარატორი

ალექსანდრე ალექსის ძე

გორიუშინის

გარდაცვალებას. გამოსვენება ბინიდან (ტექნიკური ქუჩა № 1) და დაკრძალვა ნიკოლოზის სასაფლაოზე დღეს, ა|წ. 18 ივლისს 2 საათზე.

4021 1—1

არახელსაყრელ ტექნიკურ პირობების გამო

საღამო-სეირნობა

რომელსაც „წერკუმსის“ ცენტრალური გამგეობა მართავდა ა|წ. 22 ივლისს, **გადადებულია.** საღამო-სეირნობის გამართვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული

22 ივლისისათვის აღებული ბილეთები გამოდგება ხელმეორედ დანიშნულ დროისთვის

ნ. 1504 1-1 გამგეობა

მიხა ღოღრიშვილის სახელობის
შინამრეწვ. ხელოსანთა-[illegible]
კლუბი
(პლეხანოვის პროსპექტი № 66)
ყოველ დღე კინო, წარმოდგენები, ლოტო, ბილიარდი და სხვა გასართობები.
კლუბში მოწყობილია სამკითხველო და ლენინის კუთხე. საღამოობით უკრავს სასულე ორკესტრი.
ბაღი გამშვენიერებულია და განათებულია
კლუბთან გახსნილია
ბუფეტი-რესტორანი
აზიური და ევროპული საჭმელებით.
ფასები ხელმისაწვდომია
საუცხოვო კუთხე დასასვენებლად.
ნის. № 1323—25—24

ხელისმომწერლებმა ყოველგვარი ცნობებისათვის უნდა მიმართონ
„კომუნისტი“-ს მთავარ კანტორას
რუსთაველის პრ. № 24. ტელეფონი № 10—49.

აჭარისტანის

შინაგან ვაჭრობა-მრეწველობის სამმართველო

ამით აცხადებს მისი დებიტორების საყურადღებოთ: ვისაც მმართებთ ყოფილი მაღაზია „ზუმი-“დან წაღებულ საქონლის ღირებულება, შემოიტანონ ასეთი სამმართველოში 6 აგვისტომდე ა|წ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათი გვარები გამოქვეყნებული იქნება პრესაში და მოვალეებს კი გადახდებათ ასეთი სასამართლოს წესით კუთვნილი პროცენტების დარიცხვით. 3-2 2001

იყიდება სრულიად სავარგისი ამ ჟამად მომუშავე
ავტომობილი ფენომენის ფირმისა და ბენზინის მოტორით 16—40 ძალისა
ავტომობილის ნახვა შეიძლება ყოველდღე, წითელ ჯვარში (ოლღას ქუჩა № 60) 8—3 საათამდე.
ნ. 1498 2—2 წითელი ჯვრის პრეზიდიუმი.

სასწრაფოდ საჭიროა
ის ბავშვისათვის
ძიძა
მისამართი: გუდოვიჩის ქ. № 11
გვეეჭკორის ბინა ტელ. № 8.
2—2 197

ამიერ-კავკასიის საბაჟო სამმართველო

18 ივლისს, 12 საათზე ნიშნავს

საჯარო ვაჭრობას

ერთსართულიან, რკინის სახურავით ქვის 3 ოთახიან სახლების ასაშენებლად სანაპირო საბაჟო პოსტებისათვის სოფელ **ორუომაშნი** (10 ვერსის მანძილზე ახალციხიდან). ერთი ლენინაკანის მახლობლად საზღვარზე და ერთიც სოფ. სიარის პირდაპირ **ორდაბუთის** მახლობლად. მუშაობის იჯარით აღების პირობების ხარჯთაღრიცხვის და შენობების პროექტის გაცნობა შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდან 1 საათამდე, ამიერ-კავკასიის საბაჟო სამმართველოს არქიტექტორის კანცელარიაში.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა განცხადების შემოტანასთან ერთად უნდა შეიტანონ საბაჟო სამმართველოს სალაროში საწინდარი ხარჯთაღრიცხვის თანხის 10 პროცენტის რაოდენობით.

ნ. 1493 2—2.

გთხოვთ მნახველს **პატარა ძაღლისას (ბოლონკა)** თეთრ ხუჭუჭა თმით, ყურები მკრთალი ოქროს ფერი აქვს ასეთივე ფერის ზურგი **დააბრუნოს** შემდეგი მისამართით: ვერის დაღმართი № 5 ბინა № 8 ჯაფარიძეს. მიიღებს კარგ ჯილდოს.

1—1 2009.

წარმოკავშირის გამგეობა

აცხადებს რომ 15 ივლისისათვის დანიშნული

საჯარო ვაჭრობა

გორის მაზრაში

ორი ხიდის შესანახი საჭყობის

ასაგებათ სამუშაოს გაცემის შესახებ

გადადებულია 18 ივლისისათვის საღამოს 5 საათზე

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განცხადება დახურულ კონვერტებში და 5 პროც. სამუშაოს ღირებულებისა წარმოკავშირის კასაში. დაწვრილებითი ცნობებისთვის მიმართეთ წარმოკავშირის მეხილეობის სექციაში (კომინტერნის ქუჩა № 3)

2-2 ნ. 1499

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ დაჭრეთვე ინვალიდთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
9205 25—4

ექიმი **ბ. დ. კეკელია**
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა
მიღება დილის 9—11 საათამდე საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ.
25—6

ექიმი **გ. ნ. მაგაკიანი**
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი
კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდე. ბებუთოვის ქ. № 38.
25—11

ექიმი **გ. ა. ლუკოვსკი**
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.
საპიორის ქუჩა № 35. ყოფილი კადეტ. კორპ. უკან.
25—21

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**
ალინინის ქუჩა (ყოფილი ნიკოლოზ.) № 33.
იღებს ავადმყოფებს
კანის, სიფილისი და ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.
25—5

ექიმი **გ. ო. ზანდუკელი**
დაბრუნდა და განაახლა მიღება შინაგან და ვენერიულ ავადმყ. ლენინის (ოლღას ქ. 49).
ტელ. 4—83 საღამოს 7—8 საათ. ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.
25—10

ექიმი **ა. ს. ფონ-ირტელი**
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბონ-მონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, გუასილისქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე
25—6

ექიმი **დ. ა. გალუსტიანი**
შინაგანი, კანის, ვენერიული (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი), სიფილისი.
მიღება დილის 8-დან 11-დე და საღამოს 5-დან 8 საათამდე.
ქალების მიღება დღის 12-დან 1 საათამდე ელისაბედის ქ. № 77, მეორე სახლი კიროჩნის ქუჩის კუთხიდან.
25—5

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან თუხარელისა
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. მარჯანიშვილის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).
25—5

მანგლისი
ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
ქალთა ავადმყოფობაში იღებს დილის 9—12 საათამდე და საღამოს 6— საათამდე. 25—20
ბალცევის აგარაკი, ბაღის მახლობლად

ექიმი **გ. ი. შაპელნიკოვი**
ელისაბედის ქ. № 7
სპეციალურად: ვენერიული სნეულებანი, სიფილისი და კანის ავადმყოფობანი.
მიღება ყოველ დღე დილ. 8—9 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე, კვირაობით მხოლოდ დილით 10 საათამდე, ქალებისათვის დღის 3—4 საათამდე.
25—10

პროფესორი **გ. მ. მუხაძე**
საზაფხულოთ გაემგზავრა ბორჯომში.
1960 25—3

ექიმი **გ. გოლდშტეინი**
იღებს თვალით ავადმყოფებს საღამოს 6—8 საათამდე ნიკოლოზის ქ. 32. სათვალეების არჩევა და თვალებზე მორგება უფასოთ საქ. სახელმწიფო მედვაჭრობის განყოფილებაში, თავისუფლების მოედანი № 7, დღის 2—4 საათამდე. 25—12

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამო 5—8 საათ.
ქალებისათვის 12—1 საათ.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ - მიხეილის შესახვევი №8.
25—12

ბორჯომი
ექ. ე. მ. მძინარიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
ავადმყოფებს მიიღებს
15 მკათათვიდან 15 ენკენისთვემდე
25—8

დავკარგე ა. ლ. ქ. ქ. საწევრო წიგნაკი № 11080 აპოლონ ალექსანდრეს ძე კვირაიას სახელზე, დამზღვევ სალაროს წიგნაკი აპოლონ კვირაიას სახელზე. ჩ. გ.

1—1 2016

დავკარგე საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა პროფკავშირის წიგნაკი პარმენ არჩილის ძე ჯაფარიძის სახელზე. ჩ. გ.

1—1 2013

დავკარგე პირადობის მოწმობა № 660 ვასილ ქართველიშვილის სახელზე. ჩ. გ.

1—1 2014

დავკარგე მინას ელიასის ძე რაიმოვმა პირობის ხელწერილი, მოცემული ჩემ სახელზე მკირტიჩ ვართანის ძე აბრიაინცის მიერ. ვინც ამ საბუთს იპოვნის და დამიბრუნებს—მისამართით: ნახშირის ქ. № 14 მინას ელიასის ძე რაიმოვს—ჯილდოდ მიიღებს 300 მანეთს.

1—1 2068

დავკარგე სპირიდონ ლოსაბერიძის მიერ მოცემული ნოტარიუსის მიერ დამტკიცებული რწმუნებით ქალალდი სახლის მოვლა-პატრონობის და საქმეების საწარმოებლად ნიკოლოზ ძამსტარიშვილის სახელზე. ჩ. გ.

1—1 2011

დავკარგე უმუშევრობის დაზღვეული წიგნაკი № 2754 ვანო საკაშვილის სახელზე. ჩ. გ.

1—1 2006

დავკარგე სამხედრო სააღრიცხვო ბარათი ფორმ. № 4, 181 კონსტანტინე პლატონის ძე [illegible]დიანის სახელზე. ჩ. გ.

1—1 2007

დავკარგე სოც. დ-აღვევის წიგნაკი № 302 ტრიფონ ზურაბის ძე ცხ[illegible]ნდიას სახელზე. ჩ. გ.

1—1 2019

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 972 ილარიონ ალმასხანის ძე გიორგობიანის სახელზე. ჩ. გ.

1—1 2020

დავკარგე დამზღვევის სალაროს წიგნაკი № 157, დავით ივანეს ძე დარჩიაშვილის სახელზე. ჩ. გ.

1—1 2018

დავკარგე პირადობის მოწმობა № 4—№ 62, დავით დალაქიშვილის სახელზე. ჩ. გ.

1—1 2018

დავკარგე პირადობის მოწმობა № 4—№ 118 მოცემული გორის სამხედრო მაგიდის გამგის მიერ, კოტე ზუბედიშვილის სახელზე. ჩ. გ.

1—1 2018

დავკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 5, მიხეილ გიორგის ძე კვეტერაძის სახელზე. ჩ. გ.

1—1 2012

დავკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი, № 1808 ფანჯავაძის სახელზე. ჩ. გ.

1—1 2015

ტირაჟი—20.454
„ზარია ვოსტოკა“-ს სტამბა, სამ. წულუკიძის ქ. N